წმინდა ტბელ აბუსელიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, განათლების მიმართულება

გენადი ბილვანიძე

მშვიდობიანი და კეთილგანწყობილი ინტერპერსონალური კომუნიკაციის სწავლება სკოლაში

ნაშრომი წარმოდგენილია განათლების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: დედა ბარბარე (მეგრელაძე)

ხიჭაური 2020 წელი

ანოტაცია

მშვიდობიანი და კეთილგანწყობილი ინტერპერსონალური კომუნიკაციის სწავლება მოსწავლეებისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რათა აღვზარდოთ მშვიდობიანი და სამართლიანი საზოგადოება. ეს თემა აქტუალური გახდა ზემომთიანი აჭარისათვის ტურიზმის განვითარების პირობებში. მხედველობაში მაქვს ერთი მხრივ კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის გაღრმავება, პოზიტიური საურთიერთობო გარემოს შექმნა და მეორე მხრივ საკუთარი კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიის ენის შესახებ ცოდნის გაფართოება და ქვეყნის ტრადიციული კულტურული ღირებულებების წარმოჩენა.

ყველა ბავშვმა, ახალგაზრდამ და ზრდასრულმა უნდა შეიძინოს ღირსეული ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნა და უნარები, მოახდინონ საკუთარი პოტენციალის რეალიზება და პასუხისმგებლობით შეიტანონ წვლილი თავისი ქვენისა და რეგიონის განვითარებაში.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის მეთოდები: ანალიზი, შედარება, დაკვირვება, საცდელი მუშაობა. კვლევა განვახორციელე სოფელ ფაჩხის სკოლაში, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა აქტივობის ჩართვა სასწავლო პროცესში, კვლევის შედეგები საკმაოდ დადებითი და ემოციურია.

კვლევის მეცნიერული სიახლე არის ის, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად (ინგლისური ენის მაგალითზე) გაანალიზებულია ინტერკულტურული განათლების პედაგოგიური მიდგომის საკითხები. შემუშავებულია აქტივობები, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს მშვიდობიანი, კეთილგანწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბების უნარ-ჩვევების განვითარებაში, საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის გაფრთხილებისა და დაცვის გაცნობიერების გაძლიერებაში, ცხოვრებისეული მოთხოვნების ღირსეულად გამკვლავებაში.

Annotation

Teaching peaceful and well-disposed interpersonal communication is extremely important for students to foster a peaceful and impartial society. This issue has become topical in the conditions of tourism development in upper Adjara. I mean, on the one hand, deepening knowledge about cultural diversity, creating a positive communicative environment, and on the other hand, expanding knowledge about national culture, cultural heritage, language history and presenting the country's traditional cultural values.

The whole society including all children, young people and adults should acquire the knowledge and skills necessary for a dignified life, realize their potential and responsibly contribute to the development of their country and region.

There is different research methods used in the thesis: analysis, comparison, observation, experimental work. I implemented the research at my school, made the students involve in various activities during the learning process, which provided a pretty positive emotional result.

The issues of pedagogical approach to intercultural education are analyzed in accordance with the National Curriculum (for example in English) that, in its turn is the scientific novelty of the thesis. The elaborated activities will help the student to develop the skills to establish peaceful, friendly relationships, to strengthen the awareness and protection of their own cultural heritage, to meet the demands of life with dignity.

შინაარსი

შესავალი ----------

თავი I სასკოლო განათლების მიზნები და ინტერკულტურული განათლება---

- 1. ინტერკულტურული განათლების ასახვა საგანმანათლებლო დოკუმენტებში
- 2. ინტერკულტურული განათლების პრინციპები ----------

თავი II ინტერპერსონალური კომუნიკაციის სახეები ----------

- 3. ინტერპერსონალური კომუნიკაციის მნიშვნელობა ----------
- 4. ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ძირითადი მახასიათებლები-
- 5. აქტივობები ინტერპერსონალური კომუნიკაციისათვის ----------

დასკვნები ----------

ლიტერატურის დასახელება ----------

შესავალი

თემის აქტუალობა: მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები, რომელიც ითვალისწინებს სამყაროს განვითარებასა და გაუმჯობესებას 2030 წლამდე, გლობალური ბუნებისაა და უნივერსალურია, რადგან ითვალისწინებს განსხვავებულ ეროვნულ თვისებებს, შესაძლებლობებს და განვითარების დონეს, პატივს სცემენ ეროვნულ პოლიტიკის პრიორიტეტებს.

მეოთხე მიზნის - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მისაღწევად შემუშავებული დეკლარაცია, განათლება 2030 და სამოქმედო ჩარჩო - ინკლუზიური და თანასწორი ხარისხიანი განათლებისა და სიცოცხლის მანძილზე სწავლებისაკენ, აყალიბებს ახალ ხედვებს განათლების 2030 - ის გზაზე. ერთ-ერთი ხედვა გულისხმობს ცხოვრების გარდაქმნას განათლების მეშვეობით, იგი ორიენტირებულია განათლების ჰუმანურობაზე და დაფუძნებულია კულტურულ, ეროვნულ და ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე. ყველა ბავშვმა, ახალგაზრდამ და ზრდასრულმა შეიძინოს ღირსეული ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნა და უნარები, მოახდინონ საკუთარი პოტენციალის რეალიზება და პასუხისმგებლობით შეიტანონ წვლილი თავისი ქვეყნისა და რეგიონის განვითარებაში.

მშვიდობიანი, სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერკულტურულ განათლებას. ეს თემა აქტუალური გახდა ზემომთიანი აჭარისათვის ტურიზმის განვითარების პირობებში. მხედველობაში მაქვს ერთი მხრივ კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის გაღრმავება, პოზიტიური საურთიერთობო გარემოს შექმნა და მეორე მხრივ საკუთარი კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიის ენის შესახებ ცოდნის გაფართოება და ქვეყნის ტრადიციული კულტურული ღირებულებების წარმოჩენა.

თანამედროვეობა სწრაფი ცვლილებებით ხასიათდება , სადაც კულტურული, ეკონომიური და სოციალური გარდატეხები ცხოვრების ტრადიციული წესის ერთგვარი გამოწვევა ხდება. სკოლამ, მასწავლებელმა მთავარი როლი უნდა შეასრულოს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და სხვა ეროვნების ადამიანებთან მშვიდობიანი ურთიერთობის უნარ-ჩვევების განვითარებაში.

აღნიშნული განსაკუთრებული პრობლემურობით დადგა ჩემს წინაშე, როცა საოჯახო ტურიზმის წარმომადგენლები მიწვევდნენ თარჯიმნად უცხოელ ტურისტებთან.

სკოლა ცხოვრებისათვის ამზადებს მოსწავლეებს, მათ უნდა შეძლონ ცხოვრებისეული გამოწვევების გამკლავება. ისე, რომ შეინარჩუნონ და გააძლიერონ საკუთარი ტრადიციები, წეს-ჩვეულებები. თანამედროვე პირობებში კომუნიკაციის უნარი ყველა სფეროში მნიშვნელოვანი გახდა. დასაქმების საკონკურსო პირობებში ყველაზე ხშირია მოთხოვნა „აპლიკანტს ჰქონდეს კომუნიკაციის კარგი უნარი“.

კომუნიკაციის უნარი თანდაყოლილი თვისება არ არის. ის შესწავლით ან გამოცდილებით შეიძინება, განაპირობებს ინდივიდის მიერ გარკვეული მიზნის მიღწევას, საკუთარი გრძნობების, შეხედულებების, ზრახვების, გაზიარებების, ასევე სხვის სწრაფად გაგებას და შესაბამის დასკვნების გამოტანას.

შექმნილ ვითარებაში დიდია ინგლისური ენის სწავლება-სწავლის მიმართულების კულტურათა დიალოგის მიზნობრივად წარმართვაში. ეროვნული სასწავლო გეგმა ყველა კლასში ითვალისწინებს კულტურათა დიალოგის სტანდარტის განხორციელებას, მისი მისადაგება მდგრადი განვითარეის მიზნებთან, კერძოდ მშვიდობიანი, სამართლიანი, ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას. რაც მოითხოვს უახლოესი პედაგოგიური მიდგომების გამოყენებას სასწავლო პროცესში.

ამგვარი გაგება ხელს შეუწყობს სასკოლო განათლებისა და ცხოვრებისეული მოთხოვნების დაახლოებას, რაც თავის მხრივ მოამზადებს მოსწავლეს ახალ გამოწვევებთან გამკლავებისათვის.

პრობლემის გადაჭრის შესძლებლობების შესწალისას ცხადი გახდა, რომ ინტერკულტურული განათლების შესახებ განხორციელებული კვლევები (დ. მალაზონია და სხვები 2016, ნ. ჭიაბრიშვილი 2015) ინტერპერსონალური კომუნიკაცია (ნ. სუმბაძე , თ. მახარაძე 2010 და სხვა წყაროები ქმნიან შესაძლებლობას, რომ სწავლებაში ჩაირთოს ახალი მიდგომები.საამისოდ ჩემეული ხედვით აუცილებელია ეროვნული ტრადიციების უფრო მეტი მოცულობით ჩართვა და რეგიონალური საჭიროებების გათვალისწინება.

ამ მიმართებით ჩემი ხედვის მიხედვით მოსწავლეებთან თანამშრომლობით სასწავლო პროცესში ჩავრთე რამდენიმე აქტივობა, საკმაოდ დადებითი ემოციური შედეგი მივიღე, გავაცანი კოლეგებს სკოლაში, თანაკლასელებს, მასწავლებლის კონფერენციის მონაწილეებს, მათი მხარდაჭერით და რჩევებით წახალისებულმა გადავწყვიტე შევჭიდებოდი პრობლემას და მეკვლია მისი გადაჭრის ეფექტური გზები.

კვლევის მიზანი: ინტერპერსონალური კომუნიკაციისათვის ისეთი აქტივობების შერჩევა, შემუშავება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს მშვიდობიანი, კეთილგანწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბებას უნარ-ჩვევების განვითარებაში.

კვლევის ამოცანები: წყაროების ანალიზის საფუძველზე გაანალიზდეს ინტერკულტურული განათლების არსი და პედაგოგიური მიდგომები, მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად წყაროების ანალიზის, სასწავლო პროცესზე დაკვირვების საფუძველზე გაანალიზდეს ინტერპერსონალური კომუნიკაციის სახეები და ძირითადი მახასიათებლები. შემუშავებული იქნას აქტივობები

მშვიდობიანი, კეთილგანწყობილი ურთიერთობის უნარ-ჩვევების განვითარებისათის.

კვლევების მეთოდები: წყაროების ანალიზი, შედარება, დაკვირვება, პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა, ფოკუსირებული დაკვირვება, საცდელი მუშაობა.

კვლევის ბაზა: წმინდა ტბელ აბუსელიძის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფაჩხის საჯარო სკოლა.

კვლევის მეცნიერული სიახლე: ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად (ინგლისური ენის მაგალითზე) გაანალიზებულია ინტერკულტურული განათლების პედაგოგიური მიდგომის საკითხები. შემუშავებულია აქტივობები, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს მშვიდობიანი, კეთილგანწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბების უნარ-ჩვევების განვითარებაში, საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის გაფრთხილებისა და დაცვის გაცნობიერების გაძლიერებაში, ცხოვრებისეული მოთხოვნების ღირსეულად გამკვლავებაში.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა: მოძიებულია და გაანალიზებულია ინტერკულტურული განათლებისს და ინტერპერსონალური კომუნიკაციის შესახებ უახლესი ლიტერატურა და კვლევები. მოცემულია საგანმანათლებლო სისტემის დოკუმენტების მოთხოვნების ანალიზი. მეცნიერების, მეთოდისტების მოსაზრებები განხილულია კრიტიკული ანალიზით.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომში მასალები განხილულია პედაგოგიური პრაქტიკის წარმატებული გამოცდილების საფუძველზე. შემუშავებულია აქტივობები, შემოწმებულია მათი ეფექტურობა. მასალები მოცემულია აქტივობების აღწერით, მათი შესრულების ინსტრუქციით, რაც ამაღლებს ნაშრომის პრაქტიკულად გამოყენების საკითხს.

კვლევის ფორმები : კვლევა განხორციელდა სხვადასხვა ფორმით, გავაცანი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს, განათლების მაგისტრატურის უცხოური ენის მიმართულების სტუდენტებს, მასწავლებელთა კონფერენციის მონაწილეებს.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება ორი თავის, შესავალის, ორი თავის, ხუთი პარაგრაფის, დასკვნებისა და ლიტერატურის დასახელებისაგან.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის უმნიშვნელოვანესი გზა არის ინტერკულტურული განათლების განხორციელება. ინტერკულტურული განათლებისადმი მოთხოვნები განფენილია საგანმანათლებლო საკანონმდებლო დოკუმენტებში.

ზოგადი განათლების მიზნები სასკოლო საქმიანობის ძირითადი საფუძველია, შესავალ ნაწილში ვგულისხმობთ, რომ საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

ეფექტურ ინტერპერსონალურ კომუნიკაციაზე დაუფლება მოსწავლეებისათვის ცხოვრებაში გამოსაყენებელ უნარჩვევად მიგვაჩნია. ამ მიმართულებით სასკოლო სახელმძღვანელოებში არის მოცემული სხვადასხვა სახის სავარჯიშოები, მაგრამ საკმარისი არ არის იმისათვის, რომ შეძლონ განსხვავებული ინტერესების , კულტურის, ასაკისა და ეროვნების ადამიანებთან ურთიერთობა.

სოციალური ქსელების გამოყენება ნაცნობთა თუ პროფესიულ ან მომხმარებელთა წრეებში ინფორმაციის გავრცელების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

ინტერკულტურული კომუნიკაციისათვის ეფექტურია აქტივობების მიდგომების ძიებისათვის სასარგებლო აღმოჩნდა წარმატებული გამოცდილების კვლევა, განსაკუთრებით პირველი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მასალების გაცნობა.

ასევე სასარგებლო გამოჩნდა კულტურათაშორის კვლევების და ტრენინგების მასალები, რომელიც გავიზიარე ინტერნეტ წყაროებიდან, მათი ანალიზის შედეგად შევარჩიე ზოგიერთი აქტივობა.

თავი პირველი

სასკოლო განათლების მიზნები და ინტერკულტურული განათლება

§ 1. ინტერკულტურული განათლების საკითხების ასახვა საგანმანათლებლო დოკუმენტებში.

მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის უმნიშვნელოვანესი გზა არის ინტერკულტურული განათლების განხორციელება. ინტერკულტურული განათლებისადმი მოთხოვნები განფენილია საგანმანათლებლო საკანონმდებლო დოკუმენტებში. განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს:

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (2004) მოიცავს რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებულ პრიორიტეტულ მიმართულებებს, რაც შეეხება ინტერკულტურული განათლების გამომხატველ პუნქტებს, მათში აღნიშნულია, რომ საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება. სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიური, პოლიტიკური ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილების მიღების და აქტიური შემოქმედების შესაძლებლობა.

ზოგადი განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად ასევე განსაზღრულია ჰუმანური მოქალაქის აღზრდა, აღნიშნულია, რომ დღევანდელ დინამიურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშეცნობის ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და

პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

ზოგადი განათლების მიზნები სასკოლო საქმიანობის ძირითადი საფუძველია, შესავალ ნაწილში ვგულისხმობთ, რომ საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

ჩემი კვლევის სფეროს არ ეხება, მაგრამ გამოვხატავ ჩემს პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2004 წელს, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა სასკოლო ცხოვრებაში. 2019 წლის შემოდგომაზე ჩატარებულმა კონფერენციამ, რომელიც სასკოლო ცხოვრებაში ეროვნული მიზნების განხორციელებას მიეძღვნა, აღნიშნულია, რომ მიუხედავად ბევრი დადებითისა, ეროვნული მიზნები დაშორდა სასკოლო ცხოვრებას და მასში ცვლილებების შეტანის დრო დადგა. ამ მოსაზრებას ვიზიარებ ერთი მიმართულებით, ესაა აღმზრდელობით მუშაობა, რომელიც კვლავ ყურადღების მიღმა რჩება და ოფიციალურ დოკუმენტებში მისი განხორციელების აუცილებლობა არ არის გათვალისწინებული. არც საგაკვეთილო გეგმები, არც სადამრიგებლო საქმიანობა არ ითხოვს დაზუსტებულ, თანმიმდევრულ, მიზნობრივ სააღმზრდელო მუშაობის განხორციელებას. ამ მიმართებით ვითარების სოციალურად შეცვლის აუცილებლობა თვით ცხოვრებისეულმა მაგალითებმა დაადასტურა, როცა კურსდამთავრებულები ფლობენ სიღრმისეულ ცოდნას, მაგრამ ჭეშმარიტი მამულიშვილის ზნეობისანი არ არიან.

ვფიქრობ სასკოლო ცხოვრებაში სააღმზრდელო საქმიანობის სათანადო დონეზე წარმართვა უკეთეს შედეგს მოგვცემს, როგორც თავისი ქვეყნის მოყვარული, თავის სამშობლოს მოჭირნახული, ასევე სხვისი ქვეყნის პატივისმცემელი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

განვაგრძობთ დოკუმენტების მიმოხილვას. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის (2005) მე-3 მუხლში განმარტებულია ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები, რომელთაგან ამოვწერეთ ისინი, რომლებიც გამოხატავს მოსწავლეთა ეთიკური და კულტურული ინდივიდუალობის დაცვას და განაპირობებს მოსწავლეებში პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებად მიჩნეულია:

მოსწავლეთა მიერ კულტურულ ფასეულობათა ჩამოყალიბება. ოჯახის, საზოგადოებისა, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერების ხელის შეწყობა.

ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ ადასტურებს სწავლების ენად ქართულს, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართულს და აფხაზურს. ამავე დროს, საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სავალდებულოა სახელმწიფო ენის, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ორივე ენის (ქართული, აფხაზური) სწავლება.

კანონი ითვალისწინებს უცხოურ ენაზე სწავლების განხორციელებასაც. ამ შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სავალდებულოდ რჩება სახელმწიფო ენის სწავლება.

კანონის მეოთხე თავი კრძალავს სკოლის პოლიტიზირებას, ამასთან არ იზღუდება სახელმწიფო დღესასწაულებებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნა,

აგრეთვე ისეთი ღონისძიებების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისკენ.

საყურადღებოდ მიგვაჩნია კანონის ის ნაწილი, სადაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებად გამოცხადებულია: ა) მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრების ხელშეწყობა, განურჩევლად მათი სოციალური, ეკონომიკური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობითი კუთვნილებისა. ბ) ეთნუკურ უმცირესობას შეუძლია ისარგებლონ მშობლიური ენით,შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება - ხელშეუხებელი.

ეროვნული სასწავლო გეგმა (2011,2018) აყალიბებს რა სწავლა-სწავლების პრინციპებს, ერთ-ერთ პრინციპად მიიჩნევს, რომ სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს ურთიერთპატივისცემის და თანასწორობის პრინციპის დაცვას, ასევე შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას სკოლის საზოგადოების ყველა წევრისათვის.

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს თითეული მოსწავლის უნიკალურობის აღიარებას, რომელსაც აქვს სხვისგან განსხვავებული ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, ნიჭი, ემოციები, პირადი გამოცდილება,ინტერესები, აკადემიური საჭიროებები და სწავლების სტილი.

სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა ავალდებულებს სკოლის მოსწავლეებს მისცეს განვითარების თანაბარი შესაძლებლობა, რაც მიიღწევა სწავლა-სწავლების პროცესში მრავალგვარი მეთოდის, სტრატეგიების, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით.

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტულ კომპეტენციათა შორის განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭება სამოქალაქო და სოციალურ კომპეტენციას, რაც გულისხმობს ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა და სხვა.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში დეტალურადაა გაწერილი ქართული ენის, როგორც მშობლიური ენის, სწავლების მიზნები და ქართულის როგორც მეორე ენის სწავლების მიზნები. მათი ნაწილი უშუალო კავშირშია ინტერკულტურულ განათლებასთან. მაგალითად: სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციალურ-კულტურულ თავისებურებათა დაფასება და პატივისცემა, სოციალურ-კულტურულ მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების გამოვლენა.

ქართული ენის სწავლების ამოცანები ითვალისწინებს, რომ მოსწავლემ აითვისოს როგორც ენობრივი, ასევე კულტურული ინფორმაცია, შეიძინოს განსხვავებული კულტურის გაგების უნარი. ჩამოუყალიბდეს პიროვნული თავისებურებების პატივისცემის უნარი, ჩამოუყალიბდეს ქვეყნის მოქალაქეობის განცდა.

ინტერკულტურული განათლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უცხოური ენის სწავლებას. ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამა უცხოურ ენაში ითვალისწინებს მოსწავლეებში პლურილინგვისტური კომპეტენციის განვითარებას, სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარის გამომუშავება, ენობრივი, კულტურული მრავალფეროვნების მიმართ დადებითი განწყობის ჩამოყალიბებას, განსხვავებული კულტურული კონტექსტების გაგების უნარის გამომუშავებას.

აღნიშნული ითვალისწინებს არა მხოლოდ სხვადასხვა ტიპის საგნობრივი ცოდნის შეძენას, არამედ უცხოენოვანი კულტურის ქვეყნების გაცნობას, ასეთი უნარების ჩამოყალიბებას, როგორიცაა თანამშრომლობა, არჩევანის გაკეთება, შემოქმედებითობა, ინტერაქცია განსხვავებულ სოციალურ-კულტურულ კონტექსტში და სხვა.

უცხოური ენის შესწავლის პროცესში, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება კულტურული მრავალფეროვნების მიმართ. მისი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების გამოვლინების აღქმა.

უცხოური ენის სწავლება/სწავლის ერთ-ერთი მიმართულება - კულტურათა დიალოგი გულისხმობს უცხო ენის სწავლების პროცესში შემდეგი შედეგების მიღწევას: მოსწავლე იცნობს სამიზნე ქვეყნის სოციალურ-კულტურულ მახასიათებლებს, იჩენს ინტერესს კულტურის თავისებურების მიმართ. კონკრეტულად მოსწავლე:

- იცნობს სამიზნე ქვეყნების ტრადიციებს, ადათებს, ზნე-ჩვეულებებს, ავლებს პარალელს უცხოურ და მშობლიურ კულტურებს შორის, პოულობს მსგავსებებს, განსხვავებებს.
- კონკრეტულად გამოთქვამს საკუთარ აზრს, შეხედულებებს, დამოკიდებულებას კულტურულ თავისებურებებზე მსჯელობისას.
- ინტერესდება თანაკლასელთა, თანასკოლელთა ენობრივ-კულტურული თავისებურებებით, მათთან თანამშრომლობით ამზადებს პრეზენტაციებს განსხვავებული ჩაცმის, კვების კულტურაზე.
- ამოიცნობს ტესტებში ასახულ სოციალურ-კულტურულ გარემოს და ავლებს პარალელს მშობლიურ სოციოკულტურულ გარემოსთან.
- ავლებს პარალელს უცხოურ და მშობლიურ კულტურებს შორის, პოულობს და აანალიზებს მსგავსება, განსხვავებებს.

- იჩენს ინტერესს ადამიანთ განცდების, დამოკიდებულებების მიმართ, ავლებს პარალელებს, პოულობს და აღნიშნავს ანალოგიურ განსხვავებებს საკუთარ და სხვათა სულიერ სამყაროებს შორის.
- განიხილავს ტექსტში მოცემული ინფორმაციის იმ კულტურის კონტექსტში, რომელშიც ის შეიქმნა.
- აანალიზებს კულტურულ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობით წარმოქმნილ კონფლიქტურ სიტუაციას, ამოიცნობს და ასახელებს მიზნებს, განსაზღვრავს კონფლიქტის მოგვარების გზებს.
- იკვლევს გარშემომყოფთა ენობრივ - კულტურულ თავისებურებას, აგროვებს საინტერესო მასალებს მათი წარმომავლობის, ოჯახური ისტორიის, ზნე - ჩვეულებების შესახებ.

ინტერკულტურული განათლების თვალსაზრისით, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფს. მათი სწავლების მიზნები და ამოცანები ითვალისწინებს მოსწავლის აღჭურვას იმ ცოდნითა და უნარებით, რომელიც მას დაეხმარება სამყარო აღიქვას ერთ მთლიანობად და მიმდინარე პროცესებში განსაზღვროს თავისი და თავისი ქვეყნის ადგილი.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჯგუფში შემავალი საგნის სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის პატრიოტ და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებას.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჯგუფის საგნები ისტორიის, სამოქალაქო განათლების (ამჟამად ,, მე და ზაზოგადოება'' და ,,მოქალაქეობა''), გეოგრაფიის სწავლება უკავშირდება საქართველოსთვის ისეთი პრობლემური საკითხის გადაჭრას, როგორიცაა ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან ქვეყანაში ტოლერანტული, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობა, რაც ეფუძნება მრავალფეროვანი კულტურის წარმომადგენელ ადამიანთა მშვიდობიან თანაარსებობას, იცნობდე საკუთარი ქვეყნის კულტურას,

საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანების კულტურას, შეძლოს გამოხატოს სამშობლოს სიყვარული, სხვა ქვეყნის კულტურის პატივისცემა.

მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის იმგვარი დაგეგმვა, რომ მან განავითაროს მოსწავლეებში ადამიანის ღირსების, თავისი ქვეყნის მოქალაქეობის პატივისცემა, პასუხისმგებლობა, დაიცვას ის ტრადიციები, რაც საქართველოში ოდითგანვე არსებობდა სხვა ერის წარმომადგენელთა მიმართ.

საწავლო საგნის პროგრამები ისეა აგებული, რომ დაწებითი საფეხურიდანვე იწყება კულტურულ მრავალფეროვნებისადმი პატივისცემის გაზრდა. საბაზო და საშუალო საფეხურზე ისტორიის და გეოგრაფიის სწავლება ხელს უწყობს გაეცნოს მოსწავლე საკუთარ და უცხოურ ქვეყნის ძირითად მახასიათებლებს. ისტორიულ წარსულს, თანამედროვეობას, კულტურულ ზნე - ჩვეულებებს. ჩამოყალიბდეს პატრიოტ მამულიშვილად, რომელსაც საჭირო დოზით შეუძლია სხვისი კულტურის, ჭეშმარიტი კულტურის დაფასება.

ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში 2018-2024 (მე-18 მუხლი) განიხილება სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებაში ისეთი ღონისძიებების ორგანიზება (სასკოლო, სასწავლო, სოციალური პროექტები, კლუბები, საგნობრივი წრეები) რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთპატივისცემას, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას, განურჩევლად სოციალური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივად კუთვნილებისა. სკოლის საერთო კულტურამ ხელი უნდა შეუწყოს მოზარდს იმის გააზრებაში, რომ ყოველი ადამიანი წარმოადგენს გარკვევლი ენის, კულტურის ტრადიციის მატარებელ ინდივიდს, რომელსაც თავისი უნიკალური წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა თუ საზოგადოების წინსვლაში. ეს სტიმულს მისცემს მოზარდის სრულფასოვან განვითარებას და დაეხმარება მას კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლის გარეთ.

ინტირკულტურული თვალსაზრისით საინტერესოა მესამე კლასისთვის განკუთვნილი სასწავლო საგანში - ,,მე და საზოგადოება“ მოცემული თემა / პრობლემა:

- რატომ და როგორ უნდა ვცეთ პატივი თანაკლასელებს, მოსწავლეებსა და სკოლის სხვა პერსონალს?
- როგორ ავარიდოთ ან გადავჭრად თანატოლებთან კონფლიქტი მშვიდობიანად?
- რისი გაკეთება შემიძლია სასკოლო გარემოს გასაუმჯობესებლად ჩემს თანატოლებთან ერთად?
- რა გვაერთიანებს და რა საერთო საზრუნავი გვაქვს ჩვენი უბნის მცხოვრებლებს?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ერთმანეთის პატივისცემა თემში მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის?

V –VI კლასის სასწავლო საგანი - ,, ჩვენი საქართველო“ მიზნად ისახავს დაეხმაროს მოწავლეს საკუთარი ქვეყნის მრავალმხრივად დანახვასა და შეცნობაში, გაცნობიეროს, რომ საქართველოს ეთნოგრაფიული, ბუნებრივი, ეთნიკური, რელიგიური - კულტურული მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა, განუვითაროს საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაცხოვრების უნარ-ჩვევები.

საყურადღებოა მიმართულება ,,სოციალურ-კულტურული განვითარება, მოქალაქეობა და უსაფრთხოება“, ვფიქრობ ამ მიმართულებაში უფრო მრავალფეროვანი უნდა იყოს თემები და აქტივობები, რათა მოსწავლემ უკეთ გაიაზროს ეთნიკური მრავალფეროვნება და ჩამოუყალიბდეს პოზიტიური დამოკიდებულება კეთილზნეობრივი მახასიათებლების მიმართ.

ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში უცხოური ენების სტანდარტები ხელს უწყობს სწავლების ისეთი მიზნების განხორციელებას როგორიცაა:

- ენობრივი ცნობიერების გამდიდრება და ამ გზით ენობრივი განათლების დონის ამაღლება.
- სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამომუშავება.
- დადებითი განწყობილების ჩამოყალიბება ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ.
- განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ტექსტების გაგების უნარჩვევების განვითარება.

ამ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე უცხოური ენების სწავლება ახალი გეგმით ითვალისწინებს 3 კატეგორიის ამოცანის გადაჭრას:

- სხვადასხვა ტიპის ცოდნის შეძენა (უცხოენოვანი ქვეყნების სოციოკულტურისა და კულტურის გაცნობა).
- სხვადასხვა სახის უნარ-ჩვევების განვითარება.
- დამოკიდებულებების ჩამოყალიბება (ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა, კულტურული გარემოს თვითმყოფადობის,მისი განუმეორებლობის დაფასება და პატივისცემა, პოზიტიური დამოკიდებულება, როგორც კულტურული, ისე სამყაროს მრავალფეროვანი გამოვლენის მიმართ).

ინტერკულტურული კომპეტენცის განვითარებას ემსახურება ესთეთიკური აღზრდის ჯგუფის საგანთა სწავლის მიზნები და ამოცანები, ესაა: ეროვნული, სხვა ერისა და საზოგადოებრივი კულტურის დაფასებას, ადამიანთა შორის მიმართ პატივისცემის გრძნობის გამომუშავება.

ესთეთიკური აღზრდის სასწავლო საგნების სწავლების ამოცანებში აღსანიშნავია შემდეგი: მოსწავლის ზიარება ეროვნულ და მსოფლიო კულტურის ფასეულობებთან.

მასწავლებლის ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს პედაგოგთა ძირითად უფლება-მოვალეობებს. ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად მიჩნეულია ეთნიკური წარმომავლობის, აკადემიური მოსწრების, სოციალური წარმომადგენლობის ან პირადი შეხედულების მოსწავლეთა დისკრიმინაცია, ასევე დაუშვებლად არის მიჩნეული მასწავლებლის მიერ საკუთარი კულტურული ღირებულებების მოსწავლეებზე თავზე მოხვევა.

სკოლის დირექტორის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ქცევის წესებს ერთ-ერთ ვალდებულებად მიჩნეულია თანაბრი დამოკიდებულება მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლების ან სკოლაში დასაქმებულ სხვა პირთა მიმართ. თანაბარი დამოკიდებულება მიუხედავად რელიგიური, ეროვნული, ენობრივი განსხვავებებისა.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი 2014 ავალდებულებს მასწავლებლებს, რომ ისე დაგეგმოს და წარმართოს სასწავლო პროცესი, აქტივობები, რომ მოსწავლეს გაუღვივდეს ინტრესი კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნების მიმართ.

ამგვარად საგანმანათლებლო დოკუმენტებში აისახება ინტერკულტურულ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ: ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში აღნიშნულია, რომ საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება. სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიური, პოლიტიკური ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილების მიღების და აქტიური შემოქმედების შესაძლებლობა.

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ საყურადღებოა ის ნაწილი, სადაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებად გამოცხადებულია: ა) მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრების ხელშეწყობა, განურჩევლად მათი სოციალური, ეკონომიკური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობითი კუთვნილებისა. ბ) ეთნუკურ უმცირესობას შეუძლია ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება - ხელშეუხებელი.

ეროვნული სასწავლო გეგმა (2011-2018) აყალიბებს რა სწავლა-სწავლების პრინციპებს, ერთ-ერთ პრინციპად მიიჩნევს, რომ სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს ურთიერთპატივისცემის და თანასწორობის პრინციპის დაცვას, ასევე შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას სკოლის საზოგადოების ყველა წევრისათვის.

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს თითეული მოსწავლის უნიკალურობის ღიარებას, რომელსაც აქვს სხვისგან განსხვავებული ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, ნიჭი, ემოციები, პირადი გამოცდილება,ინტერესები, აკადემიური საჭიროებები და სწავლების სტილი.

საყურადღებოა მიმართულება V –VI კლასის სასწავლო საგანი - ,,ჩვენი საქართველო“ მიზნად ისახავს დაეხმაროს მოწავლეს საკუთარი ქვეყნის მრავალმხრივად დანახვასა და შეცნობაში, გაცნობიეროს, რომ საქართველოს ეთნოგრაფიული, ბუნებრივი, ეთნიკური, რელიგიური - კულტურული მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა, განუვითაროს საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაცხოვრების უნარ-ჩვევები.

საყურადღებოა მიმართულება ,,სოციალურ-კულტურული განვითარება, მოქალაქეობა და უსაფრთხოება“, ვფიქრობ ამმიმართულებაში უფრო

მრავალფეროვანი უნდა იყოს თემები და აქტივობები, რათა მოსწავლემუკეთ გაიაზროს ეთნიკური მრავალფეროვნება და ჩამოუყალიბდეს პოზიტიური დამოკიდებულება კეთილზნეობრივი მახასიათებლების მიმართ.

საგულისხმოა უცხოური ენის სწავლების მისაღწევი შედეგები, სტანდარტები ხელს უწყობს სწავლების ისეთი მიზნების განხორციელებას, როგორიცაა:

- ენობრივი ცნობიერების გამდიდრება და ამ გზით ენობრივი განათლების დონის ამაღლება.
- სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამომუშავება.
- დადებითი განწყობილების ჩამოყალიბება ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ.
- განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ტექსტების გაგების უნარ-ჩვევების განვითარება.

ინტერკულტურული კომუნიკაციის განვითარებას ემსახურება ესთეტიკური აღზრდის საგანი განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსწავლის ზიარება ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან.

ინტერკულტურული კომპეტენციების ფლობის უნარის განვითარებას და დაცვას ემსახურება სკოლის დირექტორის კოდექსი, ეთიკის კოდექსი, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. მოთხოვნები ინტერკულტურული განათლების შესახებ განფენილია საგანმანათლებლო დოკუმენტებში.

§2 . ინტერკულტურული განათლების პრინციპები

სამყაროში, რომელიც სწრაფ ცვლილებებს განიცდის და ხასიათდება პრობლემების ერთიანობით განათლების მთავარი როლი ეკისრება სოციალური ერთობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშესაწყობად. ამ მიმართებით ინტერკულტურული განათლების მომცველი აქტივობების, მიდგომების ჩართვა სასწავლო პროსესში წაახალისებს სხვადასხვა ეროვნების კულტურის ადამიანთა შორის კეთილგანწყობილ დიალოგს, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საზოგადოების განვითარებაში. განსაკუთრებულ როლს შეასრულებს ადამიანის უფლებათა დეკლარაციიის 26ე მუხლის შესრულებაში, სადაც ვკითხულობთ: განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა ატივისცემისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას.

ინტერკულტურული განათლების როგორც ტერმინის განმარტებაში რამდენადმე განსხვავებული შეხედულებებია, განათლების საკითხებთან მიმართებაში მკლევართა უმრავლესობა (მინსკი, ბენეტი, კუშნერი, გორსკი და სხვა) იყენებენ ტერმინს-მულტიკულტურული განათლება. ამ ტერმინის განმარტების მიხედვით მულტიკულტურული აღწერს ადამიანთა საზოგადოების კულტურულად მრავალფეროვან გარემოს. ის არა მხოლოდ ეთნიკური ან ეროვნული კულტურის ელემენტებს აღნიშნავს არამედ მოიცავს ლინგვისტურ, რელიგიურ და სოციოეკონომიკურ მრავალფეროვნებასაც.

საქართველოს სამეცნიერო წრეებში თანამედროვე, მრავალფეროვანი გარემოს აღსანიშნავად იყენებენ ტერმინს „მულტიკულტურული“, ხოლო განათლებასთან მიმართებაში ტერმინს „ინტერკულტურული“, იგი აღნიშნავს მრავალფეროვან კულტურებს შორის თანასწორ ურთიერთობებს, დიალოგისა და

ურთიერთატივისცემის საფუძველზე კულტურული თვითგამოხატვის გააზრებულ ფორმათა შექმნის შესაძლებლობებს.

ინტერკულტურული განათლება ემსახურება მრავალფეროვანი მულტიკულტურული გარემოს საგანმანათლებლო მიზნებს.

ამ ორი განმარტების შესახებ ინფორმაცია ნაშრომში ჩავრთეთ იმის გამო, რომ ინტერნეტ წყაროებში უცხოელ ავტორთა ციტირებისას ან მათი მოსაზრებების მოშველიებისას იქნება მინიშნებული ტერმინი მულტიკულტურული განათლება, ხოლო ქართველ ავტორთა მოსაზრების გამოსახატავად ინტერკულტურული განათლება.

ინტერკულტურული განათლების იდეა მგომარეობს იმაში, რომ ყველა მოსწავლისათვის განუერჩევლად მათი კულტურული განსხვავებულობისა გარანტირებული იყოს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა თანასწორობა სკოლაში. დაეხმაროს მოსწავლეებს გაიღრმავონ ან განავითარონ ის ცოდნა, უნარი და დამოკიდებულებები, რომლებიც აუცილებელია საკუთარ და სხვადასხვა კულტურის ადამიანებთან დაუბრკოლებელი საქმიანობისა და ცხოვრებისათვის.

მოსწავლეებში რომ აღზარდოს და განავითაროს ინტერკულტურული უნარები, ცოდნა, დამოკიდებულებები მასწავლებელი თვითონ უნდა ფლობდეს სათანადოთეორიულ ცოდნას, პრაქტიკული საქმიანობის ფორმებს.

ინტერკულტურული განათლება მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი:

- ეხმარება პიროვნებებს თვით შეცნობაში სხვა კულტურის პერსპექტივიდან საკუთარი თავის განხილვით.
- უზრუნველყოფს პიროვნებას სხვა კულტურული, ეთნიკური და ენობრივი ალტერნატივების გაცნობით.

- ანვითარებს იმ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომელიც საჭიროა საკუთარი საზოგადოების კულტურის, სხვა კულტურების ფარგლებში ფუნქციონირებისათვის.
- ამცირებს ტკივილს, დისკრიმინაციას რომელსაც ზოგიერთი ჯგუფი განიცდის საკუთარი რასის რელიგიისა და კულტურის თავისებურების გამო.
- ეხმარება გლობალური ტექნოლოგიების სფეროში ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო წიგნიერების უნარების დაუფლებაში.

თანამედროვე სკოლა მრავალფეროვანი გარემოთი ხასიათდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ე.წ. ,,უხილავი კურუკულუმი'' სკოლის კლიმატი, კულტურა, მასწავლებლის გამიზნული თუ დაუგეგმავი ქცევა, ყოველდღიური ურთიერთობები და ა.შ.

აღვნიშნავთ, რომ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სკოლაში მოსვლის დროს უკვე აქვთ ინდივიდუალობა და კულტურა. სწორად წარმართული საქმიანობა დისკუსია, მსჯელობა, ფესტივალები, სხვადასხვა ღონისძიება უზრუნველყოფს, რომ განსხვავებული კულტურის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა აღმოაჩინონ ბევრი საერთო ერთმანეთის კულტურაში, გაიცნონ განსხვავებებიც. ყალიბდება კომრომისული ურთიერთობები, ურთიერთობები არის ბუნებრივი.

ამგვარი ვითარება ზემომთიან აჭარაში ჩამოყალიბებულია განსხვავებული რელიგიის მქონე მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. ბოლო ათწლის მონაცემების შესწავლით ზემო აჭარის სკოლებში რელიგიური კუთხით უთანხმოება ან კონფლიქტი არ ყოფილა.

მეცნიერები გვთავაზობენ ინტერკულტურული განათლების თავისებურებებს სკოლაში:

- სკოლის პერსონალის დამოკიდებულებები, აღქმა, შეხედულებები, ქმედებები.
- სკოლის სასწავლო გეგმა.
- სწავლა/სწავლების მორგება მოსწავლეთა კულტურულ თავისებურებებზე.
- სწავლების ენა და დიალექტები.
- სასწავლო მასალები.
- შეფასებისა და ტესტების როცედურები.
- სკოლის კულტურა და კლიმატი.
- კონსულტირების პროგრამა.

ჩამოთვლილ თავისებურებების დანერგვა ხელს შეუწყობს სხვადასხვა კულტურის პიროვნებებს შორის კეთილურთიერთობის დამყარებას.

განვიხილავთ ინტერკულტურული განათლების პრინციპებს, რომელიც ჩამოყალიბებულია იუნესკოს მიერ 2006 წელს, რომლის მიხედვით საქართველოში 2016 წელს დაიწერა ინტერკულტურული განათლების გზამკვლევი. (ავტორთა ჯგუფი: დ.მალაზონია, შ. მაღლაკელიძე, ნ. ჭიაბერაშვილი, გ. გახელაძე).

პირველი პრინციპი: ინტერკულტურული განათლება პატივს ცემს მოსწავლის კულტურული წარმომავლობას და უზრუნველყოფს შესატყვისი ხარისხიანი განათლებით.

ეს პრინციპი მიღწეული იქნება:

ა) ისეთი სასწავლო გარემოთი და სასწავლო მასალების გამოყენებით, რომელიც:

- ეფუძნება მოსწავლეთა ცოდნისა და გამოცდილების მრავალმხრივ სისტემას.

- ითვალისწინებს მათ ისტორიას, ცოდნას, ტექნოლოგიების ფლობის უნარს, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ მისწრაფებებს.
- აზიარებს მოსწავლეებს მათივე კულტურულ მემკვიდრეობის ცოდნასა და დაფასებას.
- მიზნად ისახავს მოსწავლეთა ენისა და ღირებულებების პატივისცემის განვითარებას
- იყენებს ადგილობრივ რესურსებს.

ბ) სწავლების ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც კულტურული თვალსაზრისით შესატყვისია, მაგალითად ტრადიციული პედაგოგიკის და მედიის ტრადიციული ფორმების გამოყენებით, როგორიცაა: მოთხრობის წერა, დრამა, პოეზია, სომღერა. ეფუძნება სწავლის პრაქტიკულ, მონაწილეობით და კონტექტურ მეთოდებს, რომლებიც მოიცავს კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით აქტივობებს, ექსკურსიებს ისტორიული ძეგლების მონახულების მიზნით.

გ) კულტურის თვალსაზრისით შესატყვისი შეფასების მეთოდების შემუშავებით.

დ) შესაძლებლობისამებრ მოსწავლის მშობლიური ენის ჩართვა სწავლებაში

ე) მოსწავლეთა ტერმინებით, რომელიც გამიზნულია: გააცნოს მასწავლებელს მისი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა , გააცნოს სწავლების პრაქტიკული, ინტერაქტიული და კონტექსტური მეთოდები, განუვითაროს სასწავლო შინაარსის მეთოდებისა და მასალების ადაპტირების უნარი ადგილობრივ კულტურასთან, გამოიყენოს კულტურული მრავალფეროვნება საკლასო ოთახში მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდისათვის.

ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა , რომელიც ატივს ცემს კულტურულ მრავალფეროვნებას, კვების რაციონის გათვალისწინება, ჩაცმის სტილის გათვალისწინება.

მეორე პრინციპი: ინტერკულტურული განათლება თითიოეულ მოსწავლეს უზრუნველყოფ კულტურის შესახებ იმ ცოდნით, უნარებითა და დამოკიდებულებებით, რომელიც აუცილებელია საზოგადოებაში აქტიური და სრულყოფილი მონაწილეობისათვის. ეს პრინციპი შეიძლება მიღწეულ იქნას განათლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფით, შესაბამისად მოსახლეობის ყველა კულტურული ჯგუფისათვის განათლების ყველა ფორმისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. საშუალო განათლებისა და საშუალო განათლების შემდგომი სწავლებისა და ასევე პროფესიული სწავლების თანაბარი უზრუნველყოფა. ისეთი ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც გაამარტივებს სოციალური, კულტურული ინტერრეტაციის საჭიროებების მქონე ჯგუფების ინტერრეტაციას საგანმანათლებლო სისტემაში. მაგალითად ემიგრანტი ადამიანების ბავშვები.

სწავლის პროცესში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

უსაფრთხო, მშვიდობიანი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, სასწავლო გარემოს გამოყენება, რომელიც: აწვდის ინფორმაციას უმრავლესობისა და უმცირესობის ეთნიკური ისტორიის, ენის, კულტურის შესახებ. ქმნის გარემოს კითხვის, წერის და ზეპირისიტყვის მრავალფეროვანი აღქმისათვის, რაც მოქალაქეს ინფორმაციაზე წვდომის საცხოვრებელ გარემოში არსებული სიტუაციის გააზრების, საკუთარი მოთხოვნილებების გამოხატვის საშუალებას აძლევს, სწავლების შესაფერისი მეთოდებით, რომლებიც: ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურობას საგანმანათლებლო პროცესში. სწავლის შედეგების, მათ შორის ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებების და ღირებულებების მკაფიო განსაზღვრა და ზუსტი შეფასება.

ენის შესაფერისი სწავლება: თითოეულმა მოსწავლემ უნდა შეძლოს მშობლიური ქვეყნის ოფიციალურ ან ეროვნულ ენაზე და ერთი ან მეტ უცხო ენაზე კომუნიკაცია.

შესაფერისი საწყისი განათლება და მუდმივი პროფესიული სწავლება, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებლებს - რომელიც უზრუნველყოფს ინტერკულტურული განათლების განხორციელებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამით ისწავლებოდა ინტერკულტურული განათლება 10 კრედიტის მოცულობით. სამაგისტრო პროგრამებზე არჩევით ისწავლება მსოფლიო კულტურა.

მესამე პრინციპი - ინტერკულტურული განათლება უზრუნველყოფს ყველა მოსწავლეს კულტურის ცოდნით, უნარებითა და დამოკიდებულებებით, რაც მათ საშუალებას აძლევს ეთნიკურ, სოციალურ, კულტურულ ჯგუფებსა და ერებს შორის პატივისცემას, ურთიერთგაგებასა და სოლიდარობაში საკუთარი წვლილი შეიტანონ.

ეს პრინციპი შეიძლება მიღწეულ იქნას: ისეთი სასწავლო გეგმით, რომელიც უზრუნველყოფს კულტურულ მრავალფეროვნების აღმოჩენას, მისი დადაბითი მრავალფეროვნების გააზრებას და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემას.

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნას სხვადასხვა საგნის სწავლებით (ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა, ენები, ხელოვნება), საკუთარი კულტურული ღირებულებების გაცნობას, რომელიც საფუძვლად უდევს არა მხოლოდ სხვადასხვა სიტუაციისა და პრობლემის ინტერპრეტირება, არამედ სხვადასხვა კულტურული პერსექტივის ცოდნით გამდიდრებული ინფორმაციის გაზიარებისა და გადახედვის უნარს.

სწავლებისა და სწავლის ადეკვატური მეთოდები, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მემკვიდრეობის მნიშვნელობას წარმოაჩენს, უზრუნველყოფს სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა შორის უშუალო კონტაქტს, გაცვლითი პროგრამების განხორციელებას ერთობლივი პროექტების შემუშავებისას.

უცხო ენის სწავლება და სწავლა და ენების სწავლებაში კულტურული კომპონენტის გაძლიერება, ეფექტური ინტერკულტურული სწავლების მიზნით მუზეუმებისა და სხვა დაწესებულებების სტუმრობით სასურველი შედეგის მიღებას, დაკვირვებას, გულისყურით მოსმენის და ინტერკულტურული კომუნიკაციის ხერხების ათვისებას.

ინტერკულტურული განათლების პრინციპების ანალიზთან დავაკავშირეთ ინტერკულტურული კომპეტენციის არსისა და მნიშვნელობის შესახებ წყაროების მიმოხილვა, რათა უფრო ცხადი გახდება ინტერკულტურული განათლებისათვის საქმიანობის წარმართვის პერსპექტივა.

ჯერ კიდევ 2007 წელს გამოცემულ ნაშრომში - ,,საკვანძო კონპეტენციები უწყვეტი განათლებისათვის'' , ევროპული ჩარჩო, რომელშიც განსაზღვრულია სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები, მოიცავს პიროვნულ, პიროვნებათა შორის და ინტერკულტურულ კომპეტენციებს და ქცევის ყველა ფორმას, რომელიც პიროვნებას სჭირდება საზოგადოებრივ და პროფესიულ ცხოვრებაში ეფექტური და კონსტრუქციული ურთიერთობისათვის. განსაკუთრებით სულ უფრო მზარდი მრავალფეროვნების საზოგადოებაში და საჭიროებების შემთხვევაში პრობლემების გადაჭრაში.

ინტერკულტურული კომპეტენცია არის კოგნიტური, ემოციური და ქცევითი ცოდნის, უნარებისა და თვისებების ნაკრები, რომელიც ხელს უწყობს, ეფექტურ და

სათანადო (შესაბამის) ინტერაქციას (ურთიერთობებს) მრავალფეროვან კულტურულ კონტექსტში - წერს ბენეტი 2004 წელს.

მკვლევარები ბენსკი (2010) და ბენეტი (2014) ინტერკულტურული კომპეტენციის საფუძველს ხედავენ სამ კომპონენს: ინტერკულტურული ცოდნა, ინტერკულტურული უნარ - ჩვევები და ინტერკულტურული დამოკიდებულებების ერთობლიობა.

ცოდნის კომპონენტი დიკუმენტში - რეკომენდაციათა ჩარჩო პლურალისტური მიდგომისათვის, შემდეგი შინაარსით არის წარმოდგენილი: ენა და საზოგადოება, კულტურა ენა და პიროვნება, სიმრავლე, მრავალფეროვნება, მულტილინგვიზმი და პლურილინგვიზმი. კულტურათა შორის ურთიერთობები, კულტურათა განვითარება, კულტურათა მრავალფეროვნება, კულტურათა შორის მსგავსებები და განსხვავებები, კულტურა და სწავლა.

ინტერკულტურული უნარები: დაკვირვება, ანალიზი, ამოცნობა, შედარება, ენისა და კულტურის შესახებ საუბარი, ერთი ენის ცოდნის მეორეს მიმართებაში გამოყენება, ურთიერთობა, სწავლა - იძლევა როგორც ეფექტური ასევე სხვებისათვის მისაღები ურთიერთობის საშუალებას, ისეთ ჯგუფებში მუშაობისას, რომლის წევრები სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის არიან.

ინტერკულტურული დამოკიდებულებები მოიცავს რამდენიმე ძირითად კატეგორიას: განსხვავებულისადმი ყურადღება, მგრძნობელობა, ცნობისმოყვარეობა, აღქმა - მიღება - აღიარება, ღიაობა, პატივისცემა, განწყობა, მოტივაცია, სურვილი, მზაობა, გამოკითხვის (კითხვების დასმა), დისტანცირება, დეცენტრალია, რელატივიზაცია, პოზიცია, დამოკიდებულება, განკითხვისაგან თავის შეკავება, საკუთარი ძალების რწმენა, სწავლის მოტივაცია და მზად ყოფნა.

ინტერკულტურული კომეტენციები უფრო დეტალურად არის განხილული ნაშრომში ინტერკულტურული კომპეტენციები ყველასათვის (2012), რომელშიც

კომპეტენციები და მათი ინდიკატორები იყოფა ორ ძირითად კატეგორიად: **პიროვნული და ინსტიტუციური.** თავის მხრივ **პიროვნული** ოთხ კატეგორიადაა: პიროვნული ფასეულიობები და უნარები, ინტერპერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბება, ინტერკულტურული ცოდნა და მგრძნობელობა , გლობალური საკითხების ცოდნა. **ინსტიტუციური** კატეგორია და ინდიკატორები მოიცავს ოთხ დონეს: ქვეყნის, სკოლის, კურიკულუმის (სასწავლო გეგმის) განვითარებისა და მასწავლებლის სწავლების / განათლების დონეები.

ინტერკულტურულ კომეტენციასთან მიმართებაში სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა გვარი კატეგორიებია, რაც ქვეყნის თავისებურებებზე და განვითარების მიმართულებაზეა დამოკიდებული. მაგალითად, ავსტრალიაში 2011 წლიდან ინტერკულტურული კომპეტენციები განიხილება სამი ურთიერთ დაკავშირებული ელემენტის საშუალებით:

პირველი ელემენტი - კულტურის აღიარება და პატივისცემის განვითარება.

მეორე ელემენტი - სხვებთან ურთიერთობა და თანაზიარობა, მოიცავს მოსწავლეების მიერ კულტურათაშორისი კომუნიკაციის დამყარებას, მრავალმხრივი პერსპექტივისა და თანაზიარობის განვითარებას.

მესამე ელემენტი - ინტერკულტურულ გამოცდილებაზე რეფლექსია და პასუხისმგებლობის აღება.

საქართველოში 2017 წელს საგანმანათლებლო პროგრამებში ინტერკულტურული განათლების სასწავლო კურსი შევიდა დაწყებითი განათლების სპეციალობაზე (ბსუ, წსუ), გაძლიერდა მისი ჩართვა ევროპისმცოდნეობის სპეციალობებზე მოიცვა თითქმის ყველა სპეციალობა. როგორც ავღნიშნეთ ჩვენს უნივერსიტეტში ინტერკულტურული განათლების სასწავლო კურსი ჩართულია განათლების ბაკალავრის პროგრამაში 2012 წლიდან.

შევეცადეთ ამოგვეკრიფა საგანმანათლებლო პროგრამებიდან ინტერკულტურული კომპეტენციები. დავასახელებთ ზოგიერთს:

- მულტიკულტუტულ ჯგუფში მუშაობა
- დისციპლინურ გარემოში მუშაობის უნარი.
- განსხვავებული ევროპული ერებიდან და კულტურული გამოცდილებიდან წამოსული განსხვავებული ხედვის აღქმა და პატივისცემა. მხედველობაში გვაქვს ჭეშმარიტი კლასიკური კულტურა და არა ფსევდო კულტურა
- განსხვავებულ არაევროპულ ერებიდან და კულტურულ გამოცდილებიდან წამოსული განსხვავებების ხედვების აღქმა და პატივისცემა.

აქვე აღვნიშნავ, რომ ამ კომპეტენციის გაზიარებისათვის აუცილებელია ეროვნული კულტურის ტრადიციული შეხედულებების გათვალისწინება, მიუღებლის უარყოფა და ჭეშმარიტი კულტურის პატივისცემა.

თითქმის ყველა სპეციალობა მოიცავს ინტერდისციპლინურ ჯგუფებში მუშაობის კომპეტენციის ფლობას.

საქართველოს კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩო (2019), რომელიც განსაზღვრავს სწავლებას საფეხურების დონეების შესაბამის განზოგადებულ სწავლის შედეგებს, თითქმის ყველა საფეხურზე შესაბამის დონეზე არის მოთხოვნები, რომელიც ინტერკულტურულ კომპეტენციებს უკავშირდება.

ამრიგად, ინტერკულტურული განათლება აღნიშნავს მრავალფეროვან კულტურებს შორის თანასწორ ურთიერთობებს, დიალოგისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე კულტურული თვითგამოხატვის გააზრებულ ფორმათა შექმნის შესაძლებლობებს.

ინტერკულტურული განათლების იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ყველა მოსწავლისათვის განურჩევლად მათი კულტურული განსხვავებულობისა, გარანტირებული იყოს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და თანასწორობა სკოლაში: დაეხმაროს მოსწავლეებს გაიღრმავონ ან განავითარონ ის ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები რომლებიც აუცილებელია საკუთარ და სხვადასხვა კულტურის ადამიანებთან დაუბრკოლებელი საქმიანობისა და ცხოვრებისათვის.

ინტერკულტურული განათლების პრინციებია:

პირველი პრინციპი: ინტერკულტურული განათლება პატივს ცემს მოსწავლის კულტურული წარმომავლობას და უზრუნველყოფს შესატყვისი ხარისხიანი განათლებით.

მეორე პრინციპი: ინტერკულტურული განათლება თითიოეულ მოსწავლეს უზრუნველყოფ კულტურის შესახებ იმ ცოდნით, უნარებითა და დამოკიდებულებებით, რომელიც აუცილებელია საზოგადოებაში აქტიური და სრულყოფილი მონაწილეობისათვის.

მესამე პრინციპი - ინტერკულტურული განათლება უზრუნველყოფს ყველა მოსწავლეს კულტურის ცოდნით, უნარებითა და დამოკიდებულებებით, რაც მათ საშუალებას აძლევს ეთნიკურ, სოციალურ, კულტურულ ჯგუფებსა და ერებს შორის პატივისცემას, ურთიერთგაგებასა და სოლიდარობაში საკუთარი წვლილი შეიტანონ.

ინტერკულტურული განათლების პრინციპების განხორციელება უნდა დაექვემდებაროს ეროვნულ ინტერესებს, ტრადიციებს, თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

თანამედროვე მრავალფეროვან საზოგადოებაში ეფექტური ურთიერთობისათის ჩამოყალიბდა ინტერკულტურული კომპეტენციები, რომელიც არის კოგნიტური, ემოციური და ქცევით ცოდნასა, უნარებსა და დამოკიდებულების

ნაკრები, რომელიც ხელს უწყობს ეფექტური და სათანადო (შესაბამისი) ინტერაქციას (ურთიერთობებს) მრავალფეროვან კულტურულ კონტექსტში.

ინტერკულტურული კომპეტენციის პიროვნული კატეგორია მოიცავს ინტერპერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ინტერკულტურულ ცოდნას, მგრძნობელობას, პიროვნულ ფასეულობებს და უნარებს, გლობალური საკითხების ცოდნას. აღნიშნული კომპეტენციის მიღწევას უცხო ენის სწავლებაში სკოლის დონეზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლის გადაჭრა ხელს უწყობს მოზარდს მრავალფეროვან საზოგადოებაში ცხოვრებისა და დასაქმებისათვის იმ მიმართებით, რომ არ მოწყდეს საკუთარ ფესვებს, იყოს საკუთარი კულტურის დამფასებელი და საუკუნეებით გამოტარებული ზნეობრივ ეროვნული მემკვიდრეობის დამცველი და შემნახველი.

თავი მეორე

§3. ინტერპერსონალური კომუნიკაციის სახეები

ინტერკულტურული განათლების ერთ-ერთი პრინციპი ითვალისწინებს თითეული მოსწავლის უზრუნველყოფას იმ ცოდნით, უნარებითა და დამოკიდებეულებებით, რომელიც აუცილებელია საზოგადოებაში აქტიური და სრულყოფილი მონაწილეობისათვის.

ინტერკულტურული კომეტენციის პიროვნული კატეგორიის შემადგენელი ნაწილია ინტერპერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომლის შესახებ მოთხოვნები გაწერილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე განვიხილავთ ინტერპერსონალური კომუნიკაციის მნიშვნელობას ზოგადი და სასკოლო განათლებისათვის.

XX საუკუნე ინფორმაციისა და კომუნიკაციის საუკუნეა. იგი დაკავშირებულია ადამიანის პროფესიული თუ ყოველდღიურ საქმიანობასთან. ხშირად კომუნიკაცია მარტივ და ნაცნობ საკითხად აღიქმება, მაგრამ ეფექტური კომუნიკაცია ყოველთვის

იოლი არ არის და ხშირად გაუგებრობის, წარუმატებლობის, კომფლიქტის მიზეზი ხდება.

ეფექტურ ინტერპერსონალურ კომუნიკაციაზე დაუფლება მოსწავლეებისათვის ცხოვრებაში გამოსაყენებელ უნარჩვევად მიგვაჩნია. ამ მიმართულებით სასკოლო სახელმძღვანელოებში არის მოცემული სხვადასხვა სახის სავარჯიშოები, მაგრამ საკმარისი არ არის იმისათვის, რომ შეძლონ განსხვავებული ინტერესების , კულტურის, ასაკისა და ეროვნების ადამიანებთან ურთიერთობა.

საკითხის უკეთ წარმოჩენისათვის ნაშრომში ჩავრთეთ ინტერპერსონალური კომუნიკაციის შესახებ წყაროების მიმოხილვა, რომელიც უახლოეს წყაროებს ეყრდნობა. განსაკუთრებით აღვნიშნავთ - პუბლიკაციას „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“ (2010), რომლის ავტორებია ნ. სუმბაძე, თ. მახარაძე.

კომუნიკაციის უნარი თანდაყოლილი არ არის, მისი განვითარება, შეძენა მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. იგი აქტუალური გახდა ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში, რამაც იმდენად გაამარტივა დროსა და სივრცეში დაშორებული ადამიანებს შორის ურთიერთობა, რომ ახალი და უცნობი აღარაფერი დარჩა. კომუნიკაციის ტრადიციული ფორმები: პირისპირ, ტელეფონით, წერილობით, დაემატა კომუნიკაცია სკაიპით, ელ-ფოსტით, ტექსტური შეტყობინებით ფეისბუქითა და სხვა სოციალური ქსელებით.

ინტერპერსონალური კომუნიკაცია გულისხმობს კომუნიკაციას ერთმანეთზე დამოკიდებულ ადამიანებს შორის, ანუ კომუნიკაციას იმ ადამიანთა შორის, რომლებსაც ერთმანეთთან რაიმე აკავშირებს. ხშირად ურთიერთობისას ერთი ადამიანი მეტად დამოკიდებულია სხვებზე. ზოგ შემთხვევაში კი ურთიერთობა თანასწორია.

ეს ადამიანთა ურთიერთობის სფერო მრავალფეროვანია: დედა-შვილის, ოჯახის წევრებს, თანამშრომლებს, თანაკლასელებს, ექიმსა და ავადმყოფებს, მოსწავლესა და მასწვლებლებს, ნათესავებს, მეგობრებს, უცნობ ადამიანებს შორის. კომუნიკაცია განსხვავდება ხასიათის მიხედვით, იგი შეიძლება იყოს პიროვნული ან არაპიროვნული. ის კომუნიკაციაა, რომელიც მისაღებია ღრმა პიროვნულ ურთიერთობებში (ოჯახი, სამეგობრო, ნათესავები) მიუღებელი ხდება ზედაპირული არაპიროვნული ურთიერთობების დროს.

ურთიერთობებისას ინფორმაციის მიწოდება ხდება, რომელსაც ველბარულად ანუ სიტყვების მეტყველების გზით, ასევე არავერბარულად ანუ ხმის ტონის,

მანერების, გამომეტყველების, გარეგნობის, პოზის, ჩაცმის, მეშვეობით. კვლევებით დადგინდა, რომ ვერბალური სახით ინფორმაციის მხოლოდ მესამედი გადაეცემა. უმეტესი ადგილი არავერბარულ ინფორმაციას უჭირავს. საინტერესო აღმოჩნდა კვლევის შედეგი, რომლის მიხედვით ადამიანები არაველბარულ მანიშნებლებს უფრო მეტად ენდობიან, ვიდრე ვერბალურს. კომუნიკაციის პროცესი საკმაოდ რთულია, იგი გულისხმობს მინიმუმ ორ ადამიანს შორის ინფორმაციის გაცვლას. მას ყოველთვის აქვს მიზანი. კომუნიკაცია დამოკიდებულია, არა მხოლოდ გადაცემაზე, არამედ იმაზე თუ როგორ გაიგო და შეაფასა ეს გზავნილი მეორე მხარემ.

კომუნიკაცია მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ინფორმაციის გადამცემი, ინფორმაციის მიმღები, არხი, რომლის მეშვეობით ხდება ინფორმაციის გადაცემა და მიღება (მეტყველება, შეხება, სატელევიზიო გადაცემა), კომუნიკაციის გარემო, რომელშიც მიმდინარეობს კომუნიკაცია (სკოლა, გაკვეთილი, შესვენება, სახლი ქუჩა და ა.შ) ურთიერთობის ხასიათი (დედა-შვილი, მასწავლებელი, მოსწავლე, მომსწავლე-მოსწავლე, მასწავლებელი-მასწავლებელი და ა. შ)

შესაძლებელია არხი სხვადასხვა სახის იყოს, მაგალითად პირდაპირ კომუნიკაცია, სიტყვით, შეხებით, მინიშნებით.

კომუნიკაციის ერთგვარი დამაბრკოლებელია ხმაური, იგი ამახინჯებს კომუნიკაციას. მაგალითად სკოლის ეზოში ან ქუჩაში ხმაურმა შეიძლება ხელი შეუშალოს მოსწავლეს და ვერ გაიგოს მასწავლებელი რას ეუბნება. ხმაური სხვადასხვა სახისაა: მექანიკური, როცა რაღაცა გამოსცემს ხმას და ხელს უშლის რაღაცის გაგებას. მაგალითად მანქნის ჩართული ძრავა, ელექტრობურღი და ა. შ. ფიზიოლოგიურია, როცა ინფორმაციის მიმღებს აქვს ბარიერი. მაგალითად, დაქვეითებული სმენა. ფსიქოლოგიური, როდესაც გადამცემს ან მიმღებს აქვს საკითხის თაობაზე ჩამოუყალიბებელი აზრი, მიკერძოებები და არ არის ღია ახლი ინფორმაციის მისაღებად. სემანტიკური ანუ შინაარსობრივი ხმაური, როდესაც გადამცემი ერთსა და იმავე სიტყვაში სხვადასხვა მნიშვნელობას გულისხმობენ. დრო, ინფორმაციის მიმღებია და გადამცემი შეიძლება დროის სრულიად განსხვავებულ მონაკვეთს გულისხმობდეს, ინფორმაციის ხანგრძლივობისადმი იყოს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებები.

ჩავატარე კვლევა, რომლის მიზანი იყო სასკოლო საქმიანობაში დამაბრკოლებელი ხმაურის სახის დადგენა. კვლევის მეთოდი იყო დაკვირვება, ფოკუსირებული დაკვირვება.

დაკვირვების ობიექტი მოსწავლე-მასწავლებლის კომუნიკაცია საგაკვეთილო პროცესში. კვლევის შედეგების მიხედვით სასკოლო საქმიანობაში უმეტესი ადგილი უჭირავს ისეთ სახეს, როგორიცაა სემიეტიკული ანუ შინაარსობრივი ხმაური, მაგალითად დროის მნიშვნელობა, სიტყვების სხვადასხვაგვარად გაგება.სწრაფად შეასრულეთ-ზოგი მოსწავლე გებულობს ერთ წუთში შესრულებას, ზოგი მეტს. ვინც ვერ დაასრულა ითხოვს პასუხის ნებართვას ხმამაღლა, რაც ხმაურის მიზეზი ხდება ან აქტივობის შესასრულებლად დროის განსაზღვრა, აქაც იგივე შემთხვევაა თუ ვერ დაასრულებენ, მაშინვე ცდილობენ პასუხის გაცემას.

ფსიქოლოგიური ხმაურის შემთხვევაშიც აღინიშნა, როცა მასწავლებელი ითხოვს ზუსტად იმ პასუხს, რაც მას აქვს ჩამოყალიბებული.

კვლევის შედეგების განხილვის შემდეგ კოლეგებთან გავმართე შეხვედრები და უკუკავშირით მივედით იმ დასკვნამდე, რომ კომუნიკაციის პროცესში სემიოტიკური ხმაურის თავიდან ასაცილებლად სასარგებლოა ინფორმაციის დაზუსტება. მაგალითად ვინც სწრაფად მოამზადებს საპასუხო ინფორმაციას, ან ვინც დავალებას სწრაფად შეასრულებს, პასუხობს მაშინვე, დანარჩენები შეწყვეტენ მაშინვე ან ვინც განსაზღვრულ დროზე ადრე შეასრულებს, ელოდება მომდევნო ინფორმაციას. მოვისმინოთ პასუხები და სხვა ფორმები, რომლებსაც მასწავლებელი განსაზღვრავს მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით.

კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია ფიზიკური გარემო და ურთიერთობის სახე. ადამიანები განსხვავებულ კომუნიკაციას ამყარებენ ერთმანეთთან გაკვეთილზე, შესვენებაზე, მაღაზიაში და ა. შ. ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ ვის ველაპარაკებით, მასწავლებელს, მშობელს, მოსწავლეს, ადმინისტრაციას.

სასწავლო საქმიანობაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციას, შესაფერის სასწავლო გარემოს მოწყობას. მაგალითად, როცა დაგეგმილია გაკვეთილი -დისკუსია სასურველია მერხები წრეზე განლაგდეს. თუ დაგეგმილია ჯგუფური მუშაობა, მერხები ისე განლაგდეს, რომ ყველა ჯგუფს ჰქონდეს მოსმენის და ხედვის საშუალება. მნიშვნელოვანია, კომუნიკაციის ეფექტიანობა, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის მიმღებმა ზუსტად გაიგოს რა იგულისხმა გზავნილში ინფორმაციის გადამცემმა.

კომუნიკაციის ეფექტიანობას უკავშირდება გაგების ფენომენი: გაგება-ქმედება-წარმატება. აქედან გამომდინარე ინფორმაციის გზავნილის სწორად გაგებისათვის

მნიშვნელოვანია მონაცემთა ცოდნისა და შესაძლებლობების გათვალისწინება. გზავნილის მკაფიოდ დაგასაგებად წარმოთქმა ან წერილობით მიწოდება.

ინტერპერსონალურ კომუნიკაციაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს კულტურა. სასარგებლოა იმ ნორმებისა და წესების ცოდნა, რომლებიც მიღებულია იმ კულტურაში, რომლის წარმომადგენლებთან გვიხდება ურთიერთობა. ძველი ლათინური გამოთქმაა: რომმი ისე მოიქეცი, როგორც რომაელები იქცევიან, ქართულ ხალხური ანდაზაა: სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო.

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში შევეცადე გამერკვია ტურისტები რამდენად იცნობდნენ ჩვენებურ ქცევას, წესებს, ურთიერთობის ფორმებს. უმეტესობამ იცოდა, რომ შეხვედრისას უცნობიც რომ ყოფილიყო უნდა მისალმებოდა და თბილად მოეკითხა. იცოდნენ ქართულად გამარჯობა გენაცვალე. სიამოვნებით იღებდნენ გამასინძლებას ხილით, ტკბილეულით, თუმცა საპირისიპროდ ასე არ იქცეოდნენ. განსხვავება იყო, რომელი ქვეყნიდან იყო ტურისტი თუ იგი დასავლეთ ქვეყნებიდან (ევროა, ამერიკა, კანადა) თავის საჭიროებებს პიპრდაპირ გამოხატავდნენ. მაგალითად, დახურეთ კარები. აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები (თურქეთი, იაპონია, ჩინეთი) წარმომადგენლები თავის სურვილებს მინიშნებებით გამოთქვამდნენ, მაგალითად, საკმაოდ აცივდა. ე.ი. მსმენელი უნდა მიხვდეს, რომ კარები დახუროს.

განსაკუთრებულია, დროის კულტურა დასავლეთის დროის ქვეყნებისათვის, დამახასიათებელია დროის ზუსტი დაცვა, და მაშინ, როცა აღმოსავლეთის ქვეყნის წარმომადგენლები დროს ზუსტად არ იცავენ.

საყურადღებოა პირდაპირ კომუნიკაციის დროს მანძილის დაცვა. ინგლისელები და ამერიკელები დიდ მანძილზე ურთიერთობას ანიჭებენ უპირატესობას. არაბები მცირე მანძილზე. ერთ-ერთ ინტერნეტ წყაროში აღწერილია შემთხვევა, როცა ერთი კულტურის მატარებელი ცდილობს უკან დაიწიოს, რომ გაზარდოს მანძილი პირდაპირი კომუნიკაციის დროს. მეორე კულტურის ადამიანი მიჰყვება, რათა შეამციროს მანძილი კომუნიკაციის დროს ამგვარი, თითქოს უმნიშვნელო ქცევა გაუგებრობის და კომფლიქტის მიზეზიც გამხდარა.

იგივე შეიძლება ითქვას შეხებაზეც, ერთი კულტურის ადამიანისთვის მიუღებელია კომუნიკაციის დროს ხელის შეხება, როცა სხვა კულტურის ადამიანისთვის ეს კარგი, ახლო ურთიერთობის მაჩვენებელია, მაგალითად იტალიელებისათვის.

ცხადია, მოსწავლეებს სრულ ცოდნას ყველა კულტურის შესახებ ვერ მივაწოდებთ და არც არის საჭირო, მაგრამ გასააზრებლად მივიჩნიეთ რეკომენდაციები, რომელსაც ნ. სუმბაძე და თ. მახარაძე გვთავაზობენ და ნაშრომში ჩავრთეთ ზოგიერთი:

- წინასწარ მოიპოვეთ ინფორმაცია, იმ ადამიანების შესახებ, რომელთანაც კომუნიკაციას გეგმავთ ან შეიძლება დაგჭირდეთ.
- გამოიყენეთ სხვადასხვა ტექნიკა.
- გაუგებრობის და ორაზროვნობის თავიდან ასაცილებლად დასვით დამატებითი კითხვა, შეგიძლიოთ თქვენეული ხედვა დაწერილიც მიაწოდოთ.
- აღიარეთ განსხვავება. გააცნობიერეთ, რომ კულტურათაშორის კომუნიკაციის ძირითად ხელისშემშლელ პირობად საკუთარ და უცხო კულტურას შორის მსგავსების დაშვება და განსხვავების უგულებელყოფა.
- გაითვალისწინეთ განსხვავება სიტყვების მნიშვნელობაში და არავერბარულ მნიშვნელობაში.

ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა კულტურაში შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელი იყოს, რასაც ერთი ადამიანი კონკრეტულ სიტყვაში გულისხმობს, სხვა კულტურის წარმომადგენელმა შეიძლება სხვაგვარად გაიგოს. მაგალითად სიტყვები: ახლავე, მალე, ერთწუთში-განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია სხვადასხვა კულტურისათვის. განსხვავებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ჟესტსა და მზერას. მაგალითად იაპონიაში თავის დაქნევა უარყოფას ნიშნავს.

კომუნიკაციას განსაზღვრავს ასაკი, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უცხოური ენის სწავლებისას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებას. მათთან საუბრისას საჭიროა იმ სიტყვების გამოყენება, რომლის მნიშვნელობა იციან და თანდათან გადავიდეთ ახალი სიტყვების გამოყენებაზე.

სხვა ქვეყნის წარმომადგენელ ბავშვთან კომუნიკაციის დროს ყურადღება მისაქცევია საუბრის ტონი და გამომეტყველება, ღიმილით დადებითი დამოკიდებულების გამოხატვა კეთილგანწყობას ქმნის.

საყურადღებო რეკომენდაცია უცხოელ ტურისტებთან ურთიერთობა, რომელთა ასაკი, 65 წელი და მეტია. რეკომენდაცია შემდეგი შინაარსისაა: შეეცადეთ

ასაკოვან ადამიანთან ურთიერთობისას ილაპარაკოთ ხმამაღლა, მაგრამ არა ყვირილით, სათქმელი გარკვევით გამოხატეთ.

კომუნიკაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან გარკვეულ წესებს ემორჩილება, ეს წესებია:

- მოექეცით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს პატივისცემით და ყურადღებით, ისე როგორც ნებისმიერ სხვას.
- თუ შშმ პირისათვის რაიმეს თქმა გსურთ უთხარით ეს მას პირადად და არა მის მომვლელს.
- სანამ გადაწყვეტდეთ დახმარების გაწევას ჰკითხეთ მას, სჭირდება თუ არა თქვენი დახმარება.
- ნუ აჩქარდებით კომუნიკაციისას. ზოგიერთი სახის შშმ პირს ცოტა მეტი დრო სჭირდება ნათქვამის გასააზრებლად და სიტუაციაში გასარკვევად.
- მხედველობა დაქვეითებულ ადამიანებთან ურთიერთობისას თავდაპირველად წარუდგინეთ თქვენი თავი თუ გინდა გიცნობდეთ მაშინაც, რადგან შეიძლება ხმით ვერ გიცნოთ. არ ილაპარაკოთ მათთან ხმამაღლა, ასეთ ადამიანებს ჩვეულებრივ ნორმალური სმენა აქვთ. შეეცადეთ სათქმელი სრულად გამოხატოთ სიტყვებით, რადგან ისინი ვერ აღიქვამენ გამომეტყველებას და ჟესტს.
- სმენა დაქვეითებულ ადამიანებთან ურთიერთობისას, გამორთეთ ყველა მოწყობილობა, რომელიც ხმას გამოსცემს. შეეცადეთ მათთან ურთიერთობისას ახლო მანძილზე დადგეთ, რომ შესაძლებელი იყოს თქვენი კარგად დანახვა. ილაპარაკეთ ხმამაღლა მაგრამ არა ყვირილით. ფართოდ გამოიყენეთ არავერბალური მანიშნებელი.

ამრიგად, ინტერკულტურული კომპეტენციის პიროვნული კატეგორიის შემადგენელი ნაწილია ინტერპერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომლის შესახებ მოთხოვნები განფენილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

კომუნიკაციის უნარის განვითარება მთელი სიცოცხლის მანძილზე შეიძლება. ინტერპერონალური კომუნიკაცია გულისხმობს კომუნიკაციას, ერთმანეთზე დამოკიდებულ ადამიანებს შორის, ანუ კომუნიკაციას იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც ერთმანეთთან რაიმე აკავშირებს. იგი გულისხმობ მინიმუმ ორ ადამიანს შორის ინფორმაციის გაცვლას, რაც საკმაოდ რთული პროცესია და დამოკიდებულია არა მხოლოდ გადაცემაზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ გაიგო და შეაფასა მეორე მხარემ გზავნილი.

კომუნიკაცია მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ინფორმაციის გადაცემა, ინფორმაციის მიღება, არხი, რომლის მეშვეობით ხდება ინფორმაციის გაცემა ან მიღება (მეტყველება, შეხება, სატელევიზიო ან რადიო გადაცემა), კომუნიკაციის გარემო, სადაც მიმდინარეობს კომუნიკაცია (სკოლა, გაკვეთილი, შესვენება, სახლი, ქუჩა და ა. შ.), ურთიერთობის ხასიათი (მასწავლებელი - მოსწავლე, მოსწავლე - მოსწავლე, მასწავლებელი - მასწავლებელი და ა.შ.). შესაძლებელია არხი იყოს სხვადასხვა სახის: პირისპირ კომუნიკაცია, სიტყვით, შეხებით და მინიშნებით.

კომუნიკაციის ერთგვარი დამაბრკოლობელია ხმაური. ხმაური სხვადასხვა სახისაა: მექანიკური, ფიზიოლოგიური, (როცა ინფორმაციის მიმღებს აქვს ბარიერი, დაქვეითებული სმენა და ა.შ.), ახალი ინფორმაციის მისაღებად მზაობის არქონა ან სურვილის არ ქონა, სემანტიკური ანუ შინაარსობრივი, როცა ერთი და იგივე სიტყვაში სხვადასხვა მნიშვნელობას გულისხმობენ გადამცემი და მიმღები, ფსიქოლოგიური ხმაური.

სასკოლო საქმიანობაზე დაკვირვებით კომუნიკაციის დამაბრკოლებელი აღმოჩნდა სემიოტიკური ანუ შინაარსობრივი ხმაური, განსაკუთრებით დროის კულტურით თვალთახედვით, რომლის თავიდან ასაცილებლად სასარგებლოა ინსტრუქციის დაზუსტება, წახალისების ფორმების გამოყენება.

კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია ფიზიკური გარემო და ურთიერთობა, განსხვავებული კომუნიკაცია მყარდება გაკვეთილზე, შესვენებაზე და ა.შ.

სასწავლო პროცესში კომუნიკაციის ეფექტიანად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია კომუნიკაციის ფორმის შესატყვისი გარემოს მოწყობას, მაგალითად დისკუსიის დროს მაგიდების წრის ფორმით განლაგება.

ინტერპერსონალურ კომუნიკაციაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს კულტურა. სასარგებლოა იმ კულტურის წესებისა და ნორმების ცოდნა, რომლის წარმომადგენელთან ვგეგმავთ კომუნიკაციას. მნიშვნელოვანია დროის კულტურის მახასიათებლის გათვალისწინება, საუბრის დროს მანძილის დაცვა, განსხვავებულობის აღიარება, სიტყვების გამოყენებაში, ქცევაში ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან კომუნიკაციის დროს საჭიროა სათანადო წესების დაცვა, მაგალითად, თუ რაიმეს თქმა გსურთ უთხარით მას, ჰკითხეთ სურს თუ არა თქვენი დახმარება, ელაპარაკეთ გარკვევით, ხმამაღლა და არა ყვირილით.

ინტერპერსონალური კომუნიკაციის ეფექტიანობა დამოკიდებულია კომუნიკაციის პროცესის სწორად წარმართვაზე.

§4 ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ძირითადი მახასიათებლები

კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური ფორმის განხილვამდე, აღვნიშნავთ, რომ კომუნიკაციის ეფექტურობას ზრდის სხვადასხვა სახის კომუნიკაციის გამოყენება. განვიხილოთ ზოგიერთი:

პირდაპირი კომუნიკაცია - ყველა სხვა სახის კომუნიკაციებზე მეტად არის გამოყენებული: სახლში, სკოლაში, გზაში, ქუჩაში, გართობის თუ დასვენების ადგილზე, ბიბლიოთეკაში და ა.შ. პირდაპირი ურთიერთობისას შესაძლებელია სხვადასხვა არხის გამოყენება: სმენით-ინფორმაციის გადაცემა სიტყვით, მხედველობით - ჩაცმულობა, პოზა, ურთიერთობა მანძილით, სახის გამომეტყველებით, მზერით, სუნით - მაგალითად სუნამოს სუნი, რომელიც შთაბეჭდილების მოხდენაზეა გათვლილი.

პირდაპირი კომუნიკაციის უპირატესობაა, რომ კომუნიკაციის პროცესშივე შეგიძლიათ შეიტყოთ რა შთაბეჭდილება დატოვეთ მოსაუბრეზე. ეფექტურია, როცა დრო შეზღუდულია და პასუხი სწრაფად გჭირდება და არ არის საჯარო რაიმე გადაწყვეტილება ან დასაბუთება. საუბრის ჩაწერა შეიძლება მოსაუბრის თანხმობით.

კომუნიკაცია სკაიპით - ესაა კომუნიკაციის ახალი სახე, რომელიც დაკავშირებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებასთან. სკაიპით კომუნიკაცია ხორციელდება კომპიუტერზე ვიდეოკამერის, მიკროფონის და დინამიკის დაყენების შემთხვევაში. იგი სმენასთან ერთად ვიზუალური არხის გამოყენების საშუალებასაც იძლევა.

სატელეფონო კომუნიკაცია - ტელეფონით კომუნიკაცია პირდაპირი კომუნიკაციის მსგავსად ეფექტურია, როცა პასუხი მყისიერად გჭირდება ან საკითხი, რომელზეც უნდა ისაუბროთ ჩაღრმავებას და გარკვევას საჭიროებს.

ტელეფონით კომუნიკაციისას ხდება მხოლოდ ერთი არხის მოსმენის გამოყენება. ეს ნიშნავს, რომ კომუნიკაცია მთლიანად უნდა ეყრდნობოდეს სიტყვებსა და ხმის ინტონაციას. გამომეტყველება, მზერა, მიუწვდომელია.

ტელეფონით საუბრისას არ რჩება საბუთი თუ საუბარი მაგნიტოფონზე არ ჩაიწერა.

კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით - ელ-ფოსტა კომუნიკაციის სწრაფი და მოსახერხებელი საშუალებაა. მისი მეშვეობით ხდება სიტყვიერი ანუ ვერბალური ინფორმაციის გაცვლა. მისი მთავარი უპირატესობაა სისწრაფე და ინფორმაციის რეგისტრაცია, შენახვა.

ელ-ფოსტით სასურველია მოკლე გზავნილების გაგზავნა, რომელშიც ძირითადი საკითხი ნათლად, პირდაპირ და არაორაზროვნად იქნება ჩამოყალიბებული. ზოგ შემთხვევაში არსებობს გზავნილზე პასუხის სწრაფად გაცემის მოლოდინი. დროსა და რესურსების ეკონომიის თვალთახედვით, ეფექტურია პასუხის გზავნილის გაგზავნისთანავე პასუხის გაცემა თუ გზავნილი რაიმე დამატებით მასალის მოპოვებას ვერ საჭიროებს. თუ პასუხის გაცემა შეუძლებელია, სასურველია დაადასტუროთ გზავნილის მიღება და შეტყობინება თუ როდის შეძლებთ საბოლოო პასუხის გაცემას.

კომუნიკაცია მოკლე ტექსტური შეტყობინებების საშუალებით - კომუნიკაციის ეს ფორმა განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ჩემი სკოლის მაგალითზე ჩავატარე გამოკითხვა, მოსწავლეთა 86% ჰქონდა მობილური ტელეფონი, იყენებდა ტექსტური შეტყობინებებისათვის. დანარჩენი 14% საჭიროების შემთხვევაში სარგებლობდა მშობლების ტელეფონით.

ცხადია, თუ სოფლის სკოლაში ასეთი ვითარებაა, გასააზრებელია მოსაზრება, რომ მობილური ტელეფონით სარგებლობს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ტექსტური შეტყობინება მობილური ტელეფონით საუბართან შედარებით იოლია. სასურველია შეტყობინება იყოს მოკლე.

წერილი, წერილობითი კომუნიკაცია - კომუნიკაცია წერილების მეშვეობით გასულ საუკუნეში სხვადასხვა ადგილას მცხოვრები ადამიანების კომუნიკაციის ძირითადი საშუალება იყო, დღეისთვის იშვიათად გამოიყენება. ამათან აღვნიშნავთ, რომ წერილობითი ფორმით ქაღალდებს, კონტრაქტებს, ბრძანებებს, ოქმებს თუ მიმართვებს მნიშვნელობა არ დაუკარგავთ. ამ შემთხვევაში ინფორმაცია მხოლოდ ერთადერთი, ვერბალური გზით გადაეცემა.

ფეისბუქი და სხვა სოციალლური ინფორმაცია - ფეისბუქი, რომელიც კომპიუტერის მომხმარებელთა სოცილურ ქსელს წარმოადგენს, ფართოდ გამოიყენება ინფორმაციის გასავრცელებლად. ინფორმაციის გამცემი ათავსებს

ინფორმაციას, როგორც ვერბალურს, ასევე ვიზუალურს (ფოტოები, ვიდეო) ან აუდიოს ფეისბუქ გვერდზე. ადამიანთა გარკვეული წრისთვის, მას ხელმისაწვდომს ხდის და განთავსებულ ინფორმაციაზე ვერბალურ უკუკავშირს, ანუ რეაქციას იღებს. ამ ინფორმაციის გაცნობა ქსელის ნებისმიერ წევრს ან ქსელების ყველა მონაწილეს შეუძლია.

სოციალური ქსელების გამოყენება ნაცნობთა თუ პროფესიულ ან მომხმარებელთა წრეებში ინფორმაციის გავრცელების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

ვიზუალური ინფორმაცია - ინფორმაციის მიწოდების ვიზუალური არხის ანუ მხედველობის მეშვეობით დიდი უირატესობა აქვს, რადგან მას უფრო ხანგრძლივი და ღრმა გავლენა აქვს ადამიანზე, ვიდრე სხვა რამეს. იგი უფრო უნივერსალურია, რადგან ენობრივად არ არის შეზღუდული და ამდენად სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები ერთნაირად აღიქვამენ. ის ხელმისაწვდომია, მისი უნივერსალური ხასიათი განაპირობებს ვიზუალური ინფორმაციის სიმრავლეს. აეროპორტის მოსაცდელი დარბაზიდან მსოფლიო ჩემპიონატამდე ყველგან ნახავთ ვიზუალურ ინფორმაციას.

კომუნიკაციის სხვადასხვა სახე დამყარებულია ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციაზე. სასკოლო საქმიანობაში ზემოთ აღნიშნული ყველა სახის კომუნიკაცია გამოიყენება, მხარდაჭერილია ვიზუალური ინფორმაციის გამოყენება, ნაცვლად, თითქმის აკრძალულია, მხედველობაში გვაქვს საგაკვეთილო პროცესში გამოყენება.

განხილული ყველა საკითხი შეიძლება ითქვას კვლევის და ძიების იდეას აჩენს, მაგრამ, ჩვენი კვლევის მიზანი ინტერესი ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციაა. აქედან გამომდინარე ნაშრომში ჩავრთეთ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ზოგადი მიმოხილვა.

ვერბალური კომუნიკაცია ძირითადად სამ მახასიათებელს მოიცავს ინფორმაციის გადაცემა სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით, მოსმენის და უშუალოდ საუბრის არსს.

ამ მახასიათებლებიდან ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები განფენილია სწავლება - სწავლის სხვადასხვა მიმართულებაში ლაპარაკი, წერა, კითხვა, კულტურათა დიალოგი, სწავლის სწავლა, ინტერაქცია. განსაკუთრებით შევჩერდებით საუბრის მახასიათებელზე, რადგან ჩემი დაკვირვებით ეს

მახასიათებელი არის სუსტი მხარე უცხო ენის სწავლებაში. მიუხედავად მრავალფეროვანი მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების (ვიდეო, ჩანაწერი და ა.შ.) პრობლემა სასურველი შედეგით გადაჭრილი არ არის. ხელისშემშლელად მიგვაჩნია არასათანადოდ გამოყენება იმ სიტყვების, რომელთაც განსხვავებული ემოციური დატვირთვა აქვს, მათი გამოყენების სხვადასხვა ხასიათის გაუთვალისწინებლობა და ინფორმაციის არაპირდაპირი ხასიათი.

როგორც მეთოდიკურ ლიტერატურაში ცნობილია, საუბარი რთული პროცესია იგი მოითხოვს ყურადღებას, მოსმენას, ინფორმაციის გაგებას - შინაარსის წვდომას. ამასთან ინფორმაციაზე მიმღების რეაქციას მოიცავს და რჩება მიმღების გონებაში ან საქმიანობაში.

ინფორმაციის გადაცემა მოიცავს: ურთიერთობის წარმართვას, გრძნობების გამოხატვას, ინფორმაციის შინაარსის გადაცემას.

შევჩერდებით გრძნობების გამოხატვის ანუ ემოციური დატვირთვის მქონე სიტყვების გამოყენებაზე. იგი ხშირად სუბიექტურია, დაკვირვებამ ცხადყო, რომ როცა სტუმარი - ტურისტი აღფრთოვანებას გამოხატავს კონკრეტული ადგილის (წყარო, მთის ბილიკი, ცაზე თეთრი ღრუბლები და ა. შ.) მიმართ ამ ადგილზე მცხოვრები, რომლისთვისაც ეს ყველაფერი რეალური ყოველდღიურობაა, გაკვირვებულია იმისი აღფრთოვანებით, ამიტომ საჭირო ხდება გავაცნობიეროთ ჩვენი გარემოს უნიკალურობა, სიმშვენიერე და ვისწავლოთ დაფასება იმ კუთხისა, სადაც ვცხოვრობთ.

საუბრისას საჭიროა ზოგიერთი წესის დაცვა, მაგალითად: საუბარი კონკრეტულ საკითხზე, განცხადების სახით წარმოდგენა მოსაზრებისა მსმენელზე კარგ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. საუბარი ძირითად საკითხს უნდა შეეხებოდეს, იყოს კონკრეტული და არა მანიშნებელი. ერთი თემიდან მეორეზე გადახტომა აბნევს მსმენელს. აზრი ცხადად უნდა გამოიხატოს, სათქმელი ჩამოყალიბდეს გონებაში, შეკითხვები სწორად უნდა დაისვას, შეკითხვა შერჩეულ იქნას იმგვარად, რომ ერთ პასუხს მოითხოვდეს. საუბრის პროცესში გასათვალისწინებელი რჩევებია:

- გამოხატეთ აზრი მსმენელისათვის გასაგები სიტყვებით.
- მოკლედ ჩამოაყალიბეთ აზრი.
- გარკვევით წარმოთქვით სიტყვები.
- იყავით შემლებისამებრ გულწრფელი

განსაკუთრებით მოვნიშნავთ საუბრისას ზრდილობის ნორმების დაცვის აუცილებლობას. საუბრისას ადამიანი ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს სხვაზე, არ იქნება მართებული თუ საამისოდ მხოლოდ იმას ვიტყვით, რაც სხვას მოსწონს, სურს. ან ვთქვათ ის, რაც ჩვენ მოგვწონს, გვსურს. მოსაუბრის, მისი აზრებისა და სურვილების პატივისცემა ეფექტური კომუნიკაციისათვის აუცილებელია, მაგრამ ზრდილობიანი სიტყვების შერჩევა საჭიროა, თუ იგი ცდება ან სიმართლეს არ ამბობს. მაგალითად: თქვენი აზრი საგულისხმოა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ... ან ნაცვლად - მომბეზრდა აქ ყოფნა - შეიძლება ვთქვათ ვწუხვარ, მაგრამ უნდა წავიდე, რადგან ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი.

არის შემთხვევა, როცა მოსაუბრის ქცევა არ მოგვწონს, ასეთ შემთხვევაში მივუთითებთ ქცევას და არა პიროვნებას.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ვერბალური კომუნიკაციის პროცესში მოსმენა. მოსმენის კულტურის აღზრდა ერთ - ერთი რთული პრობლემაა, არა მხოლოდ ინტერპერსონალური კომუნიკაციისა, არამედ ზოგადად სასწავლო პროცესისა.

მოსმენა მრავალ მიზანს ემსახურება: ინფორმაციის მიღებას, ურთიერთობის შენარჩუნებასა და გამყარებას, ზეგავლენის მოხდენას, გართობას, დახმარებას, მითითების შესრულებას.

მოსმენის ხელისშემშლელი შეიძლება იყოს *ფიზიკური*: დაქვეითებული სმენა, ხმაური, ხმამაღალი მუსიკა, ტელევიზორი ან სხვა. *გონებრივი*: ყურადღების გაფანტვა, სხვა რამეზე ფიქრი, წინასწარ განსჯა, სიტყვის შეწყვეტინება, შეკამათება და ა. შ.

საუბრის პროცესი ანუ კომუნიკაცია შედგება: დასაწყისის, შესავალის, ძირითადი შინაარსობრივი ნაწილის, უკუკავშირის და დასასრულისაგან. ამათგან შევჩერდებით უკუკავშირზე, თავიდანვე ავღნიშნავ, რომ ამ სიტყვის დაკვირვება არ მომწონს, მით უმეტეს, რომ გვაქვს მშვენიერი ქართული სიტყვათაწყობა - აზრთა ურთიერთ გაცვლა. ძველ ქართულში გამოიყენებოდა სიტყვა - აზრთა აღებ - მიცემობა. განმარტება სიტყვისა უკუკავშირი არის შემდეგი: ინფორმაციის გადაცემისათვის იმის შეტყობინება, თუ როგორ გავიგეთ მისი ნათქვამი, რა ემოციები და აზრები აღძრა ჩვენში ნათქვამმა.

როგორც ავღნიშნეთ კვლევის მიხედვით ინტერპერსონალური კომუნიკაციის დროს მეტი მხარდაჭერა მოითხოვა არავერბალურმა კომუნიკაციამ. არავერბალური

კომუნიკაცია არის კომუნიკაცია სიტყვების გარეშე, ჟესტებით, გამომეტყველებით, შეხებით და ა.შ.

არავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობაზე საჯარო გამოსვლის დროს ბერძენი ფილოსოფოსები არისტოტელე და ლატონი მიუთითებდნენ თავიანთ ნაშრომებში: არავერბალური კომუნიკაციის ძირითად ფუნქციას გრძნობების დამოკიდებულებების შესახებ ინფორმაციის გადაცემა წარმოადგენს, ამასთანავე იგი ხშირად ახალი ინფორმაციის მიწოდებასაც მოიცავს მინიშნების გზით.

არავერბალური კომუნიკაცია უნარია, რომელიც სწავლასა და გავარჯიშებას ექვემდებარება. მის ეფექტურ გამოყენებას სჭირდება ინფორმაციის სწორად გაგება, ურთიერთობისა და სიტუაციის გათვალისწინება.

არავერბალური კომუნიკაციის გამოხატვის საშუალებები მრავალფეროვანია: გარეგნობა, ჩაცმა, ხმის ტონი და მეტყველების ტონი, სხეულის ენა, გამომეტყველება, თავლის კონტაქტი, მზერა, ღიმილი, ხელები, მკვლავები, ფეხები და შეხება.

სხეულის ენით კომუნიკაციის გამოხატვის კარგი მაგალითია მუნჯური კინოს ვარსკვლავის ჩარლი ჩაპლინის როლები და ფილმები. ჩარლის კონტაქტით შეიძლება გამოიხატოს გაკვირვება, სიბრაზე, სევდა.

თავის ორიენტაცია: გვერდზე გადახრა, დაქნევა, აწევა, დახრა სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია.

ხელებით შეიძლება გამოიხატოს დაჯერების სურვილი, თხოვნა, მოთხოვნა, შეხვედრის სურვილი, შფოთი, დაძაბულობა, სიხარული, სურვილი.

ფეხით გამოიხატება: ნეიტრალური დამოკიდებულება, მოქმედებისათვის მზაობა, უხერხულობა.

შეხება მრავალი მნიშვნელობის მატარებელია, მაგალითად ხელის ჩამორთმევა, კოცნა და მოხვევა შეხვედრისას, მოხედვის სურვილი, შეჩერება და ა.შ.

გასათალისწინებელია, რომ სხვადასხვა კულტურაში შესაბამისი დამოკიდებულება სხვადასხვა გვარია, მაგალითად ლატვიასა და ესტონეთში ადამიანი შეხებით მოახედო ან გავლისას გვერდზე გაწევა მიანიშნო შეურაწყოფად ჩათვლის.

არავერბალურ და ვერბალურ კომუნიკაციაზე დაუფლებისათვის აქტივობები დავამუშავეთ, რომელიც წარმოდგენილია მომდევნი თავში.

ამრიგად, ინტერერსონალური კომუნიკაციის სხვადასხვა სახე გამოიყენება: პირისპირ კომუნიკაცია, კომუნიკაცია სკაიით, სატელეფონო კომუნიკაცია, კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, კომუნიკაცია მოკლე ტექსტური შეტყობინებით, წერილობითი კომუნიკაცია, ფეისბუქი და სხვა სოციალური ქსელები, ვიზუალური ინფორმაცია.

ინტერერსონალური კომუნიკაციის სახეები ემყარება ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაცია.

ვერბალური კომუნიკაციის ფუნქციებია: ურთიერთობის წარმართვა, გმნობის გამოხატვა, ინფორმაციის შინაარსის გადაცემა.

ეფექტური ვერბალური კომუნიკაციის ხელის შემშლელი პირობებია: სიტყვების განსხვავებული ემოციების დატვირთვა, სიტყვების კონკრეტულობის განსხვავებული ხარისხი, ინფორმაციის არაპირდაპირი ხასიათი.

საუბრისას გასათვალისწინებელია რჩევები: გამოხატეთ აზრი მსმენლისათვის გასაგები სიტყვებით, მოკლედ ჩამოაყალიბეთ აზრი, გარკვევით გამოთქვით სიტყვები, იყავით შეძლებისდაგვარად გულწრფელი.

მნიშვნელოვანია ვერბალური კომუნიკაციის დროს ზრდილობის დაცვა.

არაველბარული კომუნიკაცია ეს არიას კომუნიკაცია სიტყვების გარეშე.

არავერბალური კომუნიკაციის ძირითადი ფუნქცია არის გრძნობების, დამოკიდებულებების გამოხატვა, ახალი ინფორმაციის მინიშნება.

გრძნობებისა და დამოკიდებულებების გამოხატვა შესაძლებელია სხვადასხვა არხებით: თავით, სხეულით, თვალით კონტაქტით, ფეხებისა და ხელების მდგომარეობით და სხვა.

ვერბალური კომუნიკაციის დროს შეიძლება გრძნობების გაყინვა, როცა არ სურს ადამიანს მისი გრძნობების გამჟღავნება, შეიძლება დაფარვა და ა.შ.

არავერბალური კომუნიკაცია არის უნარი, რომელიც სწავლითა და ვარჯიშით შეიძინება. იგი მნიშვნელოვანია ინტერერსონალური კომუნიკაციის ეფექტიანად წარმართვაში.

§5. აქტივობები ინტერპერსონალური კომუნიკაციისათვის

ინტერკულტურული კომუნიკაციისათვის ეფექტურია აქტივობების მიდგომების ძიებისათვის სასარგებლო აღმოჩნდა წარმატებული გამოცდილების კვლევა, განსაკუთრებით პირველი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მასალების გაცნობა. ინტერპერსონალურ კომუნიკაციასთან დაკავშირებულ პრობლემას იკვლევდა მასწავლებელი ჯუმბერ აბაშიძე (წმინდა გრიგოლ ხანძთელის ხიჭურის სკოლა), რომლის კვლევიდან გავიზიარე ინტერვენციები და მოდიფიცირების სახით შევიტანე კვლევაში.

ასევე სასარგებლო გამოჩნდა კულტურათაშორის კვლევების და ტრენინგების მასალები, რომელიც გავიზიარე ინტერნეტ წყაროებიდან, მათი ანალიზის შედეგად შევარჩიე ზოგიერთი აქტივობა.

გადამუშავებული აქტივობები მივუსადაგე სასწავლო თემებს და ჩავრთე გაკვეთილის გეგმაში VIII- IX კლასებში და კლას გარეშე საქმიანობის (სადამრიგებლო საათი, წრე) ფორმების სცენარები.

ჩემს მიერ მიმოხილული მასალები გავაცანი კოლეგებს, მივიღე მათგან რჩევები, რეკომენდაციები. საბოლოო ვარიანტით ჩავატარე აქტივობები ღია ფორმით, დასწრება შეეძლო ყველა მსურველს 8 პირის გათვალისწინებით. აქტივობები შეფასდა დადებითად. ნაშრომში ჩავრთე ის აქტივობები, რომელმაც ყველაზე მეტი მხარდაჭერა მოიპოვა.

აქტივობა „რა არის ინტერკულტურული განათლება“

ჩატარების ფორმა ,, შეხვედრა გაკვეთილის შემდეგ“

- ინტერკულტურული განათლების რაობა
- მულტიკულტურული განათლება
- კულტურის მოდელები-აისბერგის მოდელი
- კულტურული მრავალფეროვნება

ინტერვენციაში გამოვიყენე ელექტრონული რესურსები, სამუშაო ფურცელი, ,, აისბერგის მოდელი“, ,,ხილული და უხილავი“. ჩამონათვალის შესახებ ვიმსჯელეთ.

შემდეგი: მოსწავლეებმა გაიაზრეს ცნებები, ,, რა არის კულტურა, რას ნიშნავს ინტერკულტურა”, რაში დასჭირდებათ ინტერკულტურულ საკითხებში გარკვევა.

აქტივობა ,, ფესვები, საიდანაც იწყება ჩემი კულტურა“

ინტერვენცია ჩატარდა მოსწავლეებისთვის.

ჩატარების ფორმა - პრეზენტაცია:

პრეზენტაციები ჩაატარეს მოსწავლეებმა და პრაქტიკანტმა სტუდენტებმა. ჩატარდა ,, საინტერესო შეხვედრის დარბაზში“

- სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია აჭარაში
- ,, მთელი აჭარა შემოვიარე და მათხოვარი არ მინახავს“ - თედო სახოკია
- უფროს- უმცროსობის ტრადიცია
- ,,ყველაზე მეტად რამაც გამაოცა, ეს იყო ერთ ოჯახში ოთხი თაობის ერთად, შეთანხმებულად ცხოვრება“ - ალქსანდრე დიუმა

შედეგი: მოსწავლეებმა გაიფართოვეს ცოდნა საკუთარი კულტურის მიმართ. დაფიქრდნენ: საიდან მოდიან, განსაზღვრონ, რაზე შეიძლება ისაუბრონ უცხოელთან.

აქტივობა ,, საკუთარი სამშობლოს გაფრთხილებისა და დაცვის ტრადიცია“

ინტერვენცია ჩატარდა მოსწავლეებისთვის ვიქტორინების გამოყენებით.

- ციხეები ზემო აჭარაში და მათ დანიშნულება (ოთოლთას, კავიანის, ხიხანის, მახალაკიძეების და ნიგაზეულის)
- ცხვრის ტყავით დანთებული ლამპრით მტრის შემოსვლის შეტყობინება.

შედეგი: მოსწავლეებმა დააზუსტეს და შეავსეს თავიანთი ცოდნა ზემო აჭარაში არსებული ისტორიული ციხეების შესახებ. თავიანთ ბლოკნოტებში გააკეთეს ჩანაწერები.

აქტივობა“ წყლის, მიწის, ბუნების მოვლის კულტურა“. შეიძლება ჩაირთოს მშობლები (დედა, მამა, ბებია, ბაბუა)

- წყლის მოვლის კულტურა (სასმელი, სარწყავი საყოფაცხოვრებო)

- მდინარეები
- სამკურნალო წყლები
- კლიმატი და ბუნება ზემო აჭარაში

შედეგი: მოსწავლეებს აქვთ ცოდნა წყლის, მიწის ბუნების მოვლის კულტურის შესახებ, ბლოკნოტებში ჩაიწერეს შესაბამისი სიტყვები და ფრაზები.

აქტივობა „კვების კულტურა აჭარაში“

შეიძლება ჩაირთოს მეფუტკრეები, მებაღეები, მთიბავები.

- მეფუტკრეობის დამახასიათებელი თავისებურებები აჭარაში
- მინდვრის მოვლა, სათიბები
- აჭარული ბაქლავის, ხავიწის, ფხალობიოს, შაქარლამის მომზადების წესები და პროცედურა
- აჭარული ბორანო არამატერიალური კულტურის ძეგლი

შედეგი: მოსწავლეებმა იციან როგორ მზადდება აჭარული კერძები, მეფუტკრეობის, მებაღეობის, სათიბების ტერმინოლოგია და ფრაზები, რომელიც ჩაწერილი აქვთ ბლოკნოტებში, გაიგეს, რომ აჭარული ,, ბორანო“ აღიარეს არამატერიალური კულტურის ძეგლად.

ვერბალური ინტერპერსონალური კომუნიკაცია

აქტივობა: ავტობიოგრაფია

- ვინ ვარ-
- როგორ ვხედავ საკუთარ თავს-
- რისი გაკეთება შემიძლია-
- როგორ შევიძინე ის თვისებები რომელსაც ვაფასებ-
- რამდენად შემიძლია სხვა კულტურის ადამიანებთან კომუნიკაცია-
- რის დაუფლებას ვფიქრობ ინტერკულტურული კომუნიკაციისათვის.

აქტივობა: ინტერკულტურულ ჯგუფებში მუშაობა

როლით თამაში. ინსტრუქცია: წარმოიდგინე, რომ მუშაობა მოგიწევს ისეთ ჯგუფში, სადაც სხვა კულტურის მოსწავლეც არის (რუსი) და დავალებად გაქვთ შესასრულებელი შემდეგი თემები:

1. შევადგინოთ ბოსტნეულის სია ჩვენთვის და ავღნიშნოთ:
   ა. ბოსტნეული, რომელიც მიყვარს;
   ბ. ბოსტნეული, რომელიც ჩემს სოფელში ხარობს;
   გ. ბოსტნეული, რომელსაც მივართმევ სტუმარს.
2. ხილი, რომლითაც გავუმასპინძლდები სტუმარს.
   - ხილის ჩამონათვალი (თან ერთვის)
   - ხილი, რომელიც ჩემს სოფელში ხარობს
   - ხილი, რომელსაც მივართმევ სტუმარს .
3. მსჯელობა: ,, რა წესებს დავიცავ ინტერკულტურულ ჯგუფში მუშაობისას“.

   ბ. როგორ მოვიქცევი თუ უცხო სტუმარი:

   - მომაწოდებს იმ ხილს ან ბოსტნეულს, რომელიც არ მიყვარს;
   - მომაწოდებს იმ ხილს ან ბოსტნეულს, რომელსაც არ ვიცნობ;
   - ჩემს მიწოდებულ ხილს ან ბოსტნეულს დაიწუნებს/მოიწონებს.

აქტივობა: გამოიცანი ვინ გეწვევა სადილზე.

როლით თამაშის ინსტრუქცია:

ოჯახში ელოდებიან უცხოელ სტუმრებს. დედა ამზადებს სუფრას, რომელზეც ერთ-ერთი კერძი არის სტუმრის ეროვნული კერძი. გამოიცანით, რომელი ეროვნების სტუმარი დაგვეწვევა სადილზე თუ სუფრაზე დევს: ა) ბრინჯი, ბ)მაკარონის სპაგეტი, გ)შემწვარი ლოკოკინა, დ)ქათმის ხორცის კატლეტი, ე)ბადრიჯნის ჩანახი,,ქოთანში“.

აქტივობა: უცხოელი სტუმარი გვეწვია, მშობლები შინ არ არიან.

როლით თამაში; უცხოელი სტუმარი, მასპინძელი ბავშვი, უმცროსი და /ძმა. უცხოელი სტუმარი მობრძანდა ოჯახში, ბოდიში მოიხადა, რომ წინასწარ ვერ შეგვატყობინა მისი სტუმრობის დრო. მშობლები შინ არ არიან, მე მიხდება სტუმრის მიღება. ჩემი უმცროსი და/ძმა თან არ მშორდება.

სტუმართან კომუნიკაცია:

- მიპატიჟება;
- ხელის დაბანის შეთავაზება;
- სუფრის გაშლა ეროვნული კერძებით;
- სტუმარი მეკითხება თითოეულ კერძზე რა არის, როგორ მზადდება;
- სტუმარს სურს ეზოში გაისეირნოს. დაინტერესდა რა ხილი ხარობს ეზოში, რა ბოსტნეულია ბოსტანში;
- სტუმარს აინტერესებს რა ჰქვია იმ მთას, მდინარეს, რომელიც ჩემი ეზოდან მოჩანს;
- სტუმარი შევიპატიჟე მოსასვენებლად. ვკითხე, ხომ არაფერი საჭიროებდა.

აქტივობა: სიტუაციის გარჩევა.

სიტუაცია: ბათუმიდან მოვდივარ ჩემს სახლში, სოფელში. ავტობუსში ამოვიდა და ჩემს გვერდით დაჯდა უცხოელი. გამომელაპარაკა: ამიხსნა, რომ პირველად არის ამ მხარეში. დაუგეგმავად წამოვიდა თავისი ინიციატივით. დრო აქვს და სურს ერთ დღეში გაეცნოს მისთვის უცნობ ადგილებს. მთხოვა, რომ მერჩია მისთვის, რის ნახვას შეძლებდა ერთი დღის განმავლობაში.

მე შევთავაზე რამდენიმე ვარიანტი:

I ვარიანტი - ნიგაზეულის ციხე, სელიმ ხიმშიაშვილის მუზეუმი.~

IIვარიანტი - ოთოლთას ციხე, ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი ხიჭაურში.

III ვარიანტი - კავიანის ციხე, სოფელი კოკოტაურის მინერალური წყლები.

აქტივობა: ,,ვაშლები“

- გამოწვევა: დავარიგებ ვაშლებს, რომლებიც გარეგნულად ერთმანეთისგან განსხვავდება. გავჭრით, ვნახავთ, რომ თითქმის ერთნაირია. ვიმსჯელებთ, ადამიანები განსხვავდებიან გარეგნობით, მაგრამ შიძლება ერთმანეთის მსგავსიც იყვნენ ☹ხასიათით, გემოვნებით, ეთიკური ქცევით,
- ლექსიკონს შეავსებთ ხასიათთან, გემოვნებასთან, ეთიკურ ქცევასთან დაკავშირებული სიტყვებითა და ფრაზებით.
- ლექსიკონის გამოყენებით ავღწერთ სიტუაციებს: ,, უცხო სტუმართან ერთად ვარ, ხასიათით შევეწყვეთ“. ,, ჩვენ ერთნაირი გემოვნება გვქონია ჩაცმასთან მიმართებაში - ორივეს გვიყვარს მოხერხებული და მსუბუქი სამოსი“. ,, მიმართვის ეთიკა სხვადასხვა ასაკის ადამიანებთან“.

შედეგი: მოსწავლეს შეუძლია უცხოელთან კომუნიკაციის დროს გაითვალისწინოს მისი ხასიათის თავისებურებები, გემოვნებას პატივი სცეს, დაიცვას მიმართვის ეთიკა.

აქტივობა: პოსტერი

- ელოქტრონული ტექნოლოგიით უცხოელ სტუმართან ჩემი კომუნიკაციის ეპიზოდები გადავიღო ფოტოები და გავაკეთო პოსტერი.
- თანაკლასელებს შეუძლიათ ამოიცნონ თუ რაზე ვსაუბრობთ პოსტერზე გამოსახული ფოტოების მიხედვით.

შედეგი: მოსწავლეს შეუძლია გამომეტყველება და ჟესტი შეუსაბამოს კომუნიკაციის თემას.

აქტივობა: რუკაზე მუშაობა.

- შუახევის, ქედის, ხულოს რუკების გაფორმება ცალ-ცალკე
- რუკებზე ცენტრების და სოფლების სახელების დაწერა
- ისტორიული ციხეების სახელწოდების დაწერა
- ტაძრების დასახელება
- მთების სახელწოდების დაწერა.

შედეგი: მოსწავლეებმა იციან ზემო მთიანი აჭარის სამივე მუნიციპალიტეტის რუკაზე ძირითადი ადგილები უცხოურ ენაზე.

აქტივობა: ,,საკომუნიკაციო ხე“

- დავხატოთ ხე. მოვამზადოთ სხვადასხვა ფერის წებოვანი ფურცლები.
- გავიყოთ ისე, რომ მოსწავლეთა ერთი ჯგუფი იყოს უცხოელი, მეორე ჯგუფი მასპინძელი.
- ,, სტუმარი უცხოელი“ თავის შეკითხვას წერს წითელი ფერის ქაღალდზე და აკრავს ხეზე.
- ,, მასპინძლები“ კითხულობენ შკითხვას, აირჩევენ ერთ-ერთს, პასუხობენ და პასუხს აკრავენ ხეზე შესაბამისად მწვანე ფერით. ,, სტუმრები“ კითხულობენ პასუხს. წერენ ყვითელი ფერის ფურცელზე ,, მისაღებია სავსებით“, ან ,, გაუგებარია ნაწილობრივ“ ან ,,გაუგებარია“ და შესაბამისად წერენ დასაზუსტებელ შეკითხვებს ან მადლობას.

შედეგი: მოსწავლეები ეუფლებიან კომუნიკაციის ისეთ ფორმას, როგორიცაა დამაზუსტებელი შეკითხვები, პასუხების შესწორება უკეთ გაგებისთვის.

აქტივობა: ,, სკოლა ტყის პირად“

მოსწავლეებს გააცნობს სიტუაციას: წიგნიდან ,, ინტერკულტურული განათლება“

მოსწავლეებს მიეწოდება ინსტრუქცია: ჩამოაყალიბონ საკუთარი თვალსაზრისი: სკოლის დაწვა იყო თუ არა საზიანო ორივე ტომისათვის და რაში ხედავენ პრობლემის მოგვარების გზებს.

შედეგი: მოსწავლეებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ საკუთარი თვალსაზრისი კულტურულ ურთიერთობებში წამოჭრილი პრობლემისა და მისი გადაჭრის გზების შესახებ.

აქტივობა: გაკვეთილი ფესტივალი

გეგმა:

- კლასი დავყავი ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს დავავალე წარმოედგინა ერთ-ერთი ქვეყანა. ავარჩიეთ: საქართველო, რუსეთი, ესპანეთი.
- წარმოადგინეს ამ ქვეყნების დროშები, ჰიმნი, რუკა.
- გამოყვეს ამ ქვეყნების პოპულარული ერთი ადგილი და დაახასიათეს. (საქართველოში - მთაწმინდა, რუსეთში - ტრეტიაკოვის გალერეა, ესპანეთში - ბარსელონას სტადიონი).
- იმღერეს ამ ქვეყნების ხალხური სიმღერა.
- წარმოადგინეს ფოტოკოლაჟი: დაუსწრებელი მოგზაურობა.

შედეგი: მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიცნონ და ისაუბრონ სხვადასხვა ქვეყნის კულტურის მახასიათებელზე.

აქტივობა: ,, ჩემი ბილიკა, რომელიც სხვისკენ მიდის“

- ჩემი დამოკიდებულება სხვის მიმართ პირველი შეხვედრისას.
- ემოციები ფიზიკური დატვირთვის შემდეგ (უცხოელი სტუმარი გავასეირნე სოფელში)
- ემოციები უცხოელის ქცევების თავისებურებებთან დაკავშირებით.
- ,,გვაწვიე ოჯახში შენი უცხოელი“ - მივიღე მეზობლის მოპატიჟება და ვიკისრე თარჯიმნის როლი.
- მეგობრებს ვუამბე უცხოელის მასპინძლობის ერთი დღის განცდები, შთაბეჭდილებები, დადებითი და უარყოფითი მაგალითები,
- გამოცდილება. რომელიც ერთმა დღემ შემძინა.

შედეგი: მოსწავლემ იცის, როგორ მართოს თავისი თავი და კომუნიკაციის რა ფორმები გამოიყენოს ,,სხვისკენ სავალი ბილიკის“ დაუბრკოლებლად გავლისათვის.

აქტივობა: ,,ჩემი სარკე“ (ინტერვიუ საკუთარ თავთან)

ინსტრუქცია:

- დავუკვირდეთ საკუთარ ,,მეს“ სხვებთან კომუნიკაციის დროს.
- როგორ აღიქვამ და ვპასუხობ უცხოელის შეკითხვებს?
- სხვისი კულტურის ელემენტების დანახვისას რა მაღიზიანებს.
- რა მომწონს სხვის კულტურაში? რა არ მომწონს?
- რა რეაქცია მაქვს განსხვავებების მიმართ?
- რა დისტანციას ვიცავ?
- რა გავლენას ახდენს სხვისი კულტურა ჩემს კომუნიკაციურ უნარებზე?

შედეგი: მოსწავლემ იცის როგორ შეაფასოს საკუთარი თავი სხვა კულტურის ადამიანებთან ურთიერთობისას?

აქტივობა: სუვენირების მაღაზიაში (როლით თამაში)

- სალამი
- გამარჯობა
- თუ შეიძლება შემირჩიოთ სუვენირი, რომელიც ადგილობრივი ხალხური ხელოსნის მიერ არის შესრულებული.
- ეს წინდები სუვენირია, თუ შეიძლება მისი გამოყენება?
- თუ შეიძლება ეს ფარდაგი მომაწოდეთ.
- მინდა სუვენირი ჩემი 10 წლის შვილისთვის, გთხოვთ შემირჩიოთ.
- ეს რა არის? ქვევრი? რისთვის იყენებენ?
- ამ დოქში წყლის ჩასხმა შეიძლება, თუ მხოლოდ საჩვენებელია? (დაემატა სხვა შეკითხვებიც)

შედეგი: მოსწავლეთა საკომუნიკაციო ლექსიკა გამდიდრდა, ხელი შეეწყო სოციოკულტურული კომპეტენციის განვითარება.

აქტივობა: ,, სიბრძნისა და სიცილის დროა „

სიტუაცია: უცხოელმა სტუმარმა განიზრახა თავისუფალი დრო აქტიურად გამოიყენოს. მასპინძელმა შესთავაზა გავეჯიბროთ ერთმანეთს ხალხურ ანდაზებსა და იუმორში. ერთმანეთის წარმოთქმული ვუთარგმნოთ ერთმანეთს. იქნება ქართული ანდაზა მოგეწონოს და დაისწავლოთ.

- ანდაზები სამშობლოზე, მეგობრობაზე, სიმამაცეზე;
- იუმორი - მხიარული ამბები ბავშვების ცხოვრებიდან;
- სტუმარმა მოიწადინა ორი ქართული ანდაზის შესწავლა. მე ვარ მასწავლებელი მისი, რომელს და როგორ შევასწავლი?

შედეგი: მოსწავლეებმა გააცნობიერეს კულტურათა დიალოგის მნიშვნელობა.

აქტივობა: ,, რას ნიშნავს არავერბალური კომუნიკაცია“

- არავერბალური კომუნიკაცია-კომუნიკაცია სიტყვების გარეშე
- არავერბალური კომუნიკაციის სახეებია: ხმის ტონი, მეტყველების ტემპი, ჟესტებით გამომეტყველება, თვალით კონტაქტი, შეხება, გარეგნობა, ურთიერთობა დაშორებული მანძილით, სიცილი და ტირილი.
- არავერბალური კომუნიკაციის ისტორია
- მცირეწლოვანი ბავშვი-არავერბალური კომუნიკაცია. (ჩვილი ბავშვის მიერ სურვილებისა და წუხილის გადმოცემა, რეაგირება მშობლის ხმის ტონზე).
- არავერბალური კომუნიკაცია მოზრდილ ადამიანებში
- არავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობა საჯარო გამოსვლისას.

შედეგი: მოსწავლეებმა გააცნობიერეს არავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობა. როლით თამაშით გამოხატეს სხვადასხვა სახის კომუნიკაცია.

აქტვობა: არავერბალური კომუნიკაციით გრძნობების გამჟღავნება თუ დაფარვა?

განსახილველი საკითხები:

- არავერბალური კომუნიკაციის ძირითადი ფუნქცია: საკუთარი გრძნობებისა და დამოკიდებულებების შესახებ ინფორმაციის გადაცემა.
- როლით თამაში: საკუთარი გრძნობის გამიზნული გადაცემა და გამჟღავნება.
- როლით თამაში: საკუთარი გრძნობებისა და დამოკიდებულების უნებლიე გაჟონვა (როცა არ გვსურს გამჟღავნება)

შედეგი: მოსწავლეებმა შეძლეს გაეცნობიერებინათ, რომ არავერბალური კომუნიკაცია კონტროლს და მართვას საჭიროებს. საკუთარი გრძნობების გამჟღავნებამ სასურველია სხვა არ შეაწუხოს, არ აწყენინოს. ზოგჯერ დაფარვაც საჭიროა. მაგალითად, თამაშში ან შეჯიბრებაში წაგების შემდეგ ღიმილით მიულოცოს გამარჯვება მოწინააღმდეგეს.

აქტივობა: გარეგნობა და ჩაცმულობა

დიალოგი: რა გავლენას ახდენს ადამიანის გარეგნობა მის შესახებ შთაბეჭდილების შექმნაზე?

მსჯელობა: ,, რა დატვირთვა აქვს ჩაცმულობას?“

დისკუსია: ,, მოსწავლეებს სკოლაში ერთნაირი ფორმა უნდა ეცვას თუ არა?“

შედეგი: მოსწავლეებმა შეძლეს აეხსნათ ადამიანის გარეგნობის გავლენა შთაბეჭდილების შექმნაზე უპირატესობა მიანიჭეს მშვიდ, კეთილ გამომეტყველებას, სიმპათიურ გარეგნობას. გააცნობიერეს, რომ ჩაცმულობაში ვლინდება ადამიანის ხასიათი, ჩაცმისას გასათვალისწინებელია, სად მიდიხარ, სად სწავლობ, ან მუშაობ. არ მიიჩნიეს მოსაწონად, როცა ადამიანი თავისი ჩაცმულობით ამპარტავნობს ან დასცინის სხვის ჩაცმულობას.

აქტივობა: ,, სხეულის ენა“

- მუნჯი ფილმიდან ,, ჩარლი ჩაპლინის „ ფრაგმენტის ნახვა.
- დაკვირვება: ,, სხეულის და გამომეტყველების მეშვეობით შეძლო თუ არა მსახიობმა თავისი ფიქრის , გრძნობების, დამოკიდებულებების გამოხატვა „
- როლით თამაში : გამოხატეთ არავერბალური კომუნიკაციით:
  ა)თანხმობა უარყოფა;
  ბ),, წავიდეთ „ ან ,, აქვე დავრჩეთ ‘’;
  გ)გრძნობები: სიხარული, მწუხარება, გაოცება, ინტერესი;
  დ)მოსმენისას მოწონება, დათანხმება, დამთავრება;
  ე)გაუცნობიერებელი მოქმედება, მოფხანა, მოსმენისას ფანქრის ღეჭვა, მიახლოების სურვილი.

შედეგი: მოსწავლეებმა გაიგეს, რომ სხეულის ენის ფლობის უნარი მნიშვნელოვანია. მან შეიძლება შეასრულოს სხვადასხვა ტიპის ფუნქცია: ემბლემები-სიტყვების ნაცვლად (თავის დაქნევა). ილუსტრატორები (ხელის მოძრაობით მინიშნება) გრძნობების მაჩვენებლად გამომეტყველების გამოყენება (სიხარული, მწუხარება, გაოცება). რეგულატორები-(მოსაუბრისთის მზერის მიპყრობა, თავის დაქნევა); ადაპტორები-უნებლიე მოქმედება.

აქტივობა: ,, ხმის ტონი ''

როლით თამაში: სხვადასხვა სიტუაციის ახსნა და წარმოდგენა.

I ინსტრუქცია: გთხოვთ მოქმედებით, როლით თამაშით წარმოადგინოთ შემდეგი სიტუაცია;

ა) ერთიდაიგივე სიტყვებით გამოხატეთ შექებაც და შენიშვნაც;

ბ) სწრაფი ლაპარაკით გადმოეცით ინფორმაცია ; რა რეაგირება შეუქმნა მსმენელს;

გ) მიესალმეთ იმ ადამიანს, რომლის შეხვედრაც გაგიხარდათ;

დ)მიესალმეთ იმ ადამიანს, რომლის შეხვედრაც არ გესიამოვნათ;

ე)მიეცით შენიშვნა ისე, რომ არ ეწყინოს. დააკვირდი მის გამომეტყველებას.

II ინსტრუქცია: გთხოვთ, აირჩიოთ წარმოდგენილი როლით თამაშის ერთ-ერთი სიტუაცია შეასრულეთ და გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება.

შედეგი: მოსწავლეებმა გააცნობიერეს, რამდენად მნიშვნელოვანია ხმის ტონი, გამოთქვეს სურვილი, რომ დაფიქრდნენ საკუთარი ხმის ტონით ნათქვამზე და აკონტროლონ იგი.

აქტივობა: ,, გამომეტყველება და თვალის კონტაქტი ''

- მსჯელობა, ემოციების გამოხატვა, ძირითადად გამომეტყველებით ხდება;

- როლით თამაში: გამოვხატოთ გამომეტყველებით: ბედნიერება, გაკვირვება, შიში, სიბრაზე, სევდა და ზიზღი;
- გამოიცანით ფლიფჩარტზე მოცემული ფოტოებიდან რას გამოხატავენ ადამიანები
- როლით თამაში:
  ა)თვალის კონტაქტი

1) მზერით გადაეცით რაიმე ინფორმაცია
   ბ) გამოიცანით რა ინფორმაცია გადაიცა;
2) თვალის არიდება. მსჯელობა: როდის ვარიდებთ თვალს დანახულს?
3) მსჯელობა: მუსიკის მოსმენისას ზოგჯერ ადამიანი თვალს ხუჭავს და რატომ?

- როლით თამაში:

ინსტრუქცია I. მოსაუბრის ყურადღების მიქცევის მცდელობა (ურთიერთობისას თვალებში უყურეთ მოსაუბრეს, რომ მიიპყროთ მისი ყურადღება)

ინსტრუქცია II. საუბრის რეგულაცია მზერით ანიშნეთ მოსაუბრეს, რომ დაასრულეთ სათქმელი და ახლა მისი პასუხის დროა.

ინსტრუქცია III. ურთიერთობის რაგვარობის ხაზგასმა. მიანიშნეთ მოსაუბრეს, რომ მოგეწონათ მისი საქციელი, გიყვარს.

ინსტრუქცია VI. უპასუხე კითხვას: ხანგრძლივი მზერა რის მანიშნებლად აღიქმება?

შედეგი: მოსწავლეები დაფიქრდნენ თვალის კონტაქტის მნიშვნელობაზე. დაინახეს მათი გაკონტროლების საჭიროება დაეუფლნენ თვალის კონტაქტის კომუნიკაციას.

აქტივობა: ,, როგორ ვმართოთ ემოციები, არავერბალური კომუნიკაციის დროს“

- როლური თამაში: გამოვხატოთ ძლიერი გრძნობა, რომელსაც განვიცდით

ინსტრუქცია: გამოხატეთ დიდი სიხარული მეგობრის შეჯიბრებაში გამარჯვების გამო

- როლით თამაში: ,, გამოვხატოთ გრძნობა უფრო სუსტად, ვიდრე განვიცადეთ“.

ინსტრუქცია: გამოცდაზე მივიღეთ ცუდი ნიშანი, ირგვლივ მეგობრებია, რომლებიც ჩემს შემდეგ უნდა გავიდნენ გამოცდაზე.

- როლით თამაში: ,, გამოვამჟღნოთ ნეიტრალური გრძნობები“ მხიარული წვეულებაზე შესვლის წინ გაიგეთ უსიამოვნო ამბავი, რომელიც ძალიან გეწყინათ.

- როლით თამაში: ,, შევნიღბოთ გრძნობები ‘’. დაბადების დღეზე მეგობარმა მოგიტანა საჩუქარი, რომელიც არ მოგეწონა ან რომლის მსგავსი ბევრი გაქვს.
- როლური თამაში: ,, გამოვხატოთ გრძნობა, რომელსაც არ განიცდი“ მეგობარი აღფრთოვანებით გიყვება ამბავს რომელიც საერთოდ არ გაინტერესებს.

შედეგი: მოსწავლეებმა გააცნობიერეს ემოციების კონტროლის უნარის ფლობის მნიშვნელობა.

აქტივობა: თავის ორიენტაცია, მისი გვერდზე გადახრა, აწევა ან დახრა, გარკვეული ინფორმაციის მატარებელია.

- როლით თამაში: ინსტრუქცია-მაღლა აწეული თავით და წინ წამოწეული ნიკაპით გამოხატეთ თვით დარწმუნება, სიმამაცე, შეუპოვრობა.
- სიტუაციის გარჩევა ,, რას გამოხატავს პატარა ბავშვი როცა მხარზე თავს ადებენ მშობელს?“
- როლით თამაში წინ დახრილი თავით გამოხატეთ უარყოფითი დამოკიდებულებები;
- როლით თამაში: გამოხატეთ თავით
  ა)უარყოფა
  ბ)დათანხმება
  გ)საუბრისას თავის ნელა-ნელა დაქნევით გამოხატეთ მხარდაჭერა
  დ)საუბრისას თავის სწრაფად დაქნევით გამოხატეთ-შეწყვიტეთ საუბარი
- სიტუაციის გარჩევა ,, რას გამოხატავს უფროსის მიერ ბავშვისთვის თავზე ხელის გადასმა?“

შედეგი: მოსწავლეებმა გააცნობიერეს თავისი ორიენტაციის მნიშვნელობა არავერბალური კომუნიკაციისათვის, ამასთან გაიგეს, რომ ზოგიერთ კულტურებში განსხვავებული მიდგომაა. მაგალითად, იაპონიაში თავის დაქნევა უარყოფას ნიშნავს.

აქტივობების ეფექტიანობის დასადგენად ჩავატარე აქტივობები, რომელზეც მოვიწვიე მშობლები, კოლეგები. დასრულების შემდეგ მონაწილეების თანდასწრებით ჩატარდა შეხვედრები, სადაც განვიხილეთ თითეული აქტივობის შედეგები, გავითვალისწინე უკუკავშირი, შევიტანე ცვლილება მომდევნო ეტაპისთვის დაგეგმილ აქტივობებში, ამასთან დასრულების შემდეგ კვლევის სტრუქტურის შესაბანმისად დავგეგმე „აქტივობების შეფასება“ იმ მიზნით, რომ გამოვლენილიყო მათი ეფექტურობის ხარისხი, ხელი შეწყობოდა ისეთი რეკომენდაციების

შემუშავებას, რომელიც სასარგებლო იქნებოდა, როგორც საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის, ასევე კოლეგებისათვის.

შეფასება - შემუშავებული და გამოყენებული ფორმებისა და მიდგომების ეფექტიანობის ძლიერი მხარე.

- მოსწავლეებმა მიიღეს საჭირო განათლება ინტერკულტურული განათლების შესახებ.
- გაიაზრეს, რომ ადამიანები არიან განსხვავებული კულტურის.
- გააცნობიერეს, რომ საჭიროა საკუთარი კულტურული ფასეულობებისა და ტრადიციების ცოდნა, გათავისება, დაფასება, რათა შეძლოს სხვა კულტურის ადამიანებისათვის გაცნობა.
- შეექმნათ მოტივაცია კულტურათაშორისი ურთიერთობებისათვის არა მხოლოდ ამჟამად, არამედ სამომავლოდ.
- დაეუფლენ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის უნარებს.

ამრიგად,

- ინტერპერსონალური კომუნიკაციის სასარგებლო სასწავლო პროცესში ჩაერთოს ისეთი აქტივობები, რომელიც შეიცავს დამაზუსტებელ და მკაფიო განმარტებას ინტერკულტურული განათლების რაობას, მისი საჭიროების შესახებ. მაგალითად: რა არის ინტერკულტურული განათლება, ფესვები საიდანაც იწყება ჩემი კულტურა, საკუთარი სამშობლოს გაფრთხილებისა და დაცვის ტრადიცია, წყლის მიწის ბუნების მოვლის კულტურა შეიძლება ჩაერთოს მშობლები, კვების კულტურა აჭარაში.
- ინტერპერსონალური ვერბალური კომუნიკაციის დაუფლებისათვის ეფექტურია ისეთი აქტივობების ჩრთვა, როგორიცაა: ავტობიოგრაფია, ინტერკულტურულ ჯგუფებში მუშაობა, გამოიცანი ვინ გვეწვევა სადილზე, უცხოელი სტუმარი გვეწვია მშობლები შინ არ არიან, სიტუაციის გარჩევა, ვაშლები, პოსტერი, რუკაზე მუშაობა, საკომუნიკაციო ხედა ა.შ.
- ინტერპერსონალური არავერბალური კომუნიკაციის შედეგიანად წარმართვისათვის სასარგებლოა ისეთი აქტივობების ჩართვა როგორიცაა: რას ნიშნავს არავერბალური კომუნიკაცია, არავერბალური კომუნიკაციით გრძნობების გავჟღავნება თუ დაფარვა, გარეგნობა და ჩაცმულობა, სხეულის ენა, ხმის ტონი, გამომეტყველება და თვალის კონტაქტი და ა.შ.

დასკვნები

საგანმანათლებლო დოკუმენტებში აისახება ინტერკულტურულ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ: ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში აღნიშნულია, რომ საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება. სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიური, პოლიტიკური ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილების მიღების და აქტიური შემოქმედების შესაძლებლობა.

ინტერკულტურული კომპეტენციის პიროვნული კატეგორია მოიცავს ინტერპერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ინტერკულტურულ ცოდნას, მგრძნობელობას, პიროვნულ ფასეულობებს და უნარებს, გლობალური საკითხების ცოდნას. აღნიშნული კომპეტენციის მიღწევას უცხო ენის სწავლებაში სკოლის დონეზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლის გადაჭრა ხელს უწყობს მოზარდს მრავალფეროვან საზოგადოებაში ცხოვრებისა და დასაქმებისათვის იმ მიმართებით, რომ არ მოწყდეს საკუთარ ფესვებს, იყოს საკუთარი კულტურის დამფასებელი და საუკუნეებით გამოტარებული ზნეობრივ ეროვნული მემკვიდრეობის დამცველი და შემნახველი.

კომუნიკაცია მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ინფორმაციის გადაცემა, ინფორმაციის მიღება, არხი, რომლის მეშვეობით ხდება ინფორმაციის გაცემა ან მიღება (მეტყველება, შეხება, სატელევიზიო ან რადიო გადაცემა), კომუნიკაციის გარემო, სადაც მიმდინარეობს კომუნიკაცია (სკოლა, გაკვეთილი, შესვენება, სახლი, ქუჩა და ა. შ.), ურთიერთობის ხასიათი (მასწავლებელი - მოსწავლე, მოსწავლე - მოსწავლე, მასწავლებელი - მასწავლებელი და ა.შ.). შესაძლებელია არხი იყოს სხვადასხვა სახის: პირისპირ კომუნიკაცია, სიტყვით, შეხებით და მინიშნებით.

ინტერპერსონალურ კომუნიკაციაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს კულტურა. სასარგებლოა იმ კულტურის წესებისა და ნორმების ცოდნა, რომლის წარმომადგენელთან ვგეგმავთ კომუნიკაციას. მნიშვნელოვანია დროის კულტურის მახასიათებლის გათვალისწინება, საუბრის დროს მანძილის დაცვა, განსხვავებულობის აღიარება, სიტყვების გამოყენებაში, ქცევაში ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება.

ინტერერსონალური კომუნიკაციის სხვადასხვა სახე გამოიყენება: პირისპირ კომუნიკაცია, კომუნიკაცია სკაიით, სატელეფონო კომუნიკაცია, კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, კომუნიკაცია მოკლე ტექსტური შეტყობინებით, წერილობითი კომუნიკაცია, ფეისბუქი და სხვა სოციალური ქსელები, ვიზუალური ინფორმაცია.

ლიტერატურის დასახელება:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2018 – 2024
2. ეროვნული სასწავლო გეგმა 2016
3. ინტერკულტურული განათლება - შ. ტაბატმადა სხვები 2016
4. ინტერკულტურული განათლება - ნ. ჭიაბრიშვილი და სხვები 2015
5. ინტერკულტურული განათლება პედაგოგიური მიდგომები - დ. მალაზონია და სხვები 2012
6. ინტერკულტურული განათლების პრობლემები - ინტერნეტ რესურსი
7. ინგლისური ენის სასკოლო სახელმძღვანელოები VII – VIII კლასებში 2019 – 2020
8. ინგლისური ენის სასკოლო სახელმძღვანელო IX – XII კლასები 2016 – 2018
9. კულტურათშორისი ურთიერთობები - ინტერნეტ რესურსი
10. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი 2014
11. მასწავლებლის წიგნი ინგლისურ ენაში VII – VIII კლასები 2019 – 2020
12. მასწავლებლის წიგნი ინგლისურ ენაში IX – XII კლასებში 2016 – 2018
13. მდგრადი განვითარების მიზნები - ინტერნეტ რესურსი 2015
14. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ 2005
15. საქართველოს საგანმანათლებლო სკოლის მიზნები 2004
16. უცხოური ენის მასწავლებლის სტანდარტი 2014
17. ინჩიონის დეკლარაცია განათლება - 2015